ყოველდღიური გაზეთი

# ახალი თაობა

Akhali Taoba

akhalitaoba.ge

ორშაბათი, 21 სექტემბერი, 2020 №198 (8462) ფასი: 60 თეთრი

## პროკურორი გულუაშვილი: „თამარ ბაჩალიაშვილის სიკვდილის მიზეზი მედიკამენტოზური ინტოქსიკაციაა“





„ის ვიდეოში ტყეში თვითმკვლელობაზე საუბრობს“

გვ.2

## „ქართული ოცნება“ — 25%, „ძალა ერთობაშია“ — 15%, „ევროპული საქართველო“ — 5%

იპსოსმა კვლევა ჩაატარა გვ.2



გვ.3

## სერგი კაპანაძე: „ნათია თურნავა ჩაფლავებული მთავრობის ჩაფლავებული მინისტრია“

„მთავრობამ რაც გააკეთა, ყველაფერი საარჩევნო გათვლა იყო, თავიანთ შემომწირველებსა და თავიანთ ხალხს დაეხმარნენ“

## რამაზ საყვარელიძე: „ხელისუფლება მიდის გეგმაზომიერად. ოპოზიცია შეცდომებს უშვებს“

გვ.4





გვ.2

## „ხელისუფლებამ ვალად აღებული მილიონები საკუთარ ბიზნესში „გადააკატავა“

გიორგი გუგავა: „ოცნებამ“ საარჩევნო კამპანია კოვიდზე ააწყო“



## შოთა მალაშხია: „ყველა პრობლემის მიმართ კონცეპტუალური მიდგომაა საჭირო“

გვ.4

„ქართულმა ოცნებამ“ ბელარუსის მოვლენებიდან დასკვნა უნდა გამოიტანოს“

## დავით ფურცხვანიძე: „თამარ ბაჩალიაშვილის გარდაცვალება უნიჭოდ დადგმული ინსცენირებაა“

გვ.3



**„14 წლის ბიჭი 9 წლის ბიჭზე სექსუალურად ძალადობდა, რისთვისაც ბ.ქ.-მ მას ყური მოაჭრა“** რა მოხდა კახეთში



გვ.5




**ვახტანგ გომელაური მრავალეროვნული სწავლების — „ღირსეული პარტნიორი 2020“-ის დახურვას დაესწრო** გვ.5

ISSN 1987-9385

3 **„ქმრისთვის ნასროლი ტყვია ცოლს მკერდში მოხვდა“** მესტიაში მზია კვიციანი დაჭრეს

6 **ტრამპი: „რუსებმა სარაკეტო ტექნოლოგია მოგვპარეს!“**

5 **14 წლის რატი ასლამაზიშვილმა თავი მოიკლა** ის 129-ე სკოლის მოსწავლე იყო

6 **„ვერ ვცნობდი ხალხს და არ ვიცოდი, როგორ მელაპარაკა“** ნოვიჩოკის შემქმნელმა ნავალნის ბოდიში მოუხადა

# „ქართული ოცნება“ — 25%, „ძალა ერთობაშია“ — 15%, „ევროპული საქართველო“ — 5%

## იპსოსმა კვლევა ჩაატარა

„მთავარი არხის“ დაკვეთით კომპანია იპსოსმა კვლევა ჩაატარა.

**კითხვაზე, რომელ პარტიას მისცემდით ხმას, მომდევნო კვირას რომ საპარლამენტო არჩევნები გაიმართოს, პასუხები ასე გადანაწილდა:**

„ქართული ოცნება“ – 25%
ნაციონალური მოძრაობა და გაერთიანებული ოპოზიცია „ძალა ერთობაშია“ – 15,5%
„ევროპული საქართველო“ – 5%
„სტრატეგია აღმაშენებელი“ – 3%
„ლეიბორისტული პარტია“ – 3%
„პატრიოტთა ალიანსი“ – 3%
„გირჩი“ – 2,5%
„ერთიანი საქართველო – დემოკრატიული მოძრაობა“ – 2,5%
„ლელო საქართველოსთვის“ – 2%
ალეკო ელისაშვილის „მოქალაქეები“ – 1,5%
„თავისუფალი საქართველო“ – 1%
სხვა პარტიები – 3%
არ ვიცი – 19%
უარი პასუხზე – 14%




**ალოკაციით (ალოკაცია არის ხმების დათვლის ისეთი საშუალება, როცა რესპონდენტი ღიად არ ასახელებს ფავორიტ კანდიდატს, თუმცა ანალიტიკოსები მაინც ხვდებიან, ვისთვის აპირებს ის ხმის მიცემას) მიღებული შედეგებით კი იმავე კითხვაზე ხმები ასე გადანაწილდა:**

„ქართული ოცნება“ – 38%
ნაციონალური მოძრაობა და გაერთიანებული ოპოზიცია „ძალა ერთობაშია“ – 26%
„ევროპული საქართველო“ – 9%
„სტრატეგია აღმაშენებელი“ – 5%
„ლეიბორისტული პარტია“ – 4%
„პატრიოტთა ალიანსი“ – 4%
„გირჩი“ – 3%
„ერთიანი საქართველო – დემოკრატიული მოძრაობა“ – 3%
„ლელო საქართველოსთვის“ – 3%
ალეკო ელისაშვილის „მოქალაქეები“ – 2%
„თავისუფალი საქართველო“ – 1%
სხვა პარტიები – 2%

**კითხვას, გინდათ თუ არა, რომ 2020 წლის არჩევნების შედეგად ხელისუფლება შეიცვალოს? ასეთი პასუხები გაეცა:**

მინდა – 57%
არ მინდა – 26%

**შეიცვლება თუ არა ხელისუფლება 2020 წლის არჩევნების შემდეგ?**

გამოკითხულთა 12% ამბობს, რომ აუცილებლად შეიცვლება, 29%-ს მიაჩნია, რომ, მაღალი ალბათობით, შეიცვლება. 28% ფიქრობს, რომ, სავარაუდოდ, იგივე დარჩება, 17% კი ამბობს, რომ აუცილებლად იგივე დარჩება.

**როგორ შეაფასებდით ბიძინა ივანიშვილის როლს ქართულ პოლიტიკაში? ამ კითხვას ასეთი პასუხები გაეცა:**

ძალიან დადებითად – 10%
მეტნაკლებად დადებითად – 30%
მეტნაკლებად უარყოფითად – 20%
ძალიან უარყოფითად – 32%

**როგორ შეაფასებდით მიხეილ სააკაშვილის როლს ქართულ პოლიტიკაში?**

ძალიან დადებითად – 18%
მეტ-ნაკლებად დადებითად – 32%
მეტ-ნაკლებად უარყოფითად – 16%
ძალიან უარყოფითად – 25%.

იპსოსმა კვლევა 10-18 სექტემბრის პერიოდში ჩაატარა.

საქართველოს მასშტაბით სულ 1.500 რესპონდენტი გამოიკითხა. ცდომილების ფარგლები +-2,5%-ია.

# პროკურორი გულუაშვილი: „თამარ ბაჩალიაშვილის სიკვდილის მიზეზი მედიკამენტოზური ინტოქსიკაციაა“

## „ის ვიდეოში ტყეში თვითმკვლელობაზე საუბრობს“



გარდაცვლილი 23 წლის თამარ ბაჩალიაშვილის სიკვდილის მიზეზი მედიკამენტოზური ინტოქსიკაციაა.

აღნიშნულის შესახებ პროკურორმა ამირან გულუაშვილმა 18 სექტემბერს გენერალურ პროკურატურაში გამართულ ბრიფინგზე განაცხადა.

როგორც გულუაშვილი განმარტავს, ქიმიურ-ტოქსიკოლოგიური გამოკვლევით დადგინდა, რომ ბაჩალიაშვილს მედიკამენტები არა ინექციის გზით, არამედ პირის ღრუდან აქვს მიღებული. ამასთან, პროკურორის თქმით, ბაჩალიაშვილის ცხედარს მექანიკური დაზიანების ნიშნები არ აქვს.

– თამარ ბაჩალიაშვილის მიმდინარე სისხლის სამართლის საქმეზე გამოძიების ფარგლებში ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროდან უკვე მიღებულია ქიმიურ-ტოქსოკოლოგიური, ქიმიური, ბიოლოგიური, გენეტიკური, სელოგიური და ტრასოლოგიური ექსპერტიზის დასკვნები. ამ დროისათვის ასევე ცნობილია ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროდან მიღებული სასამართლო სამედიცინო ექსპერტიზის დასკვნა. სასამართლო სამედიცინო ექსპერტიზის თანახმად, გვამის სასამართლო სამედიცინო, ქიმიურ-ტოქსიკოლოგიური გამოკვლევისა და საქმის მასალების შეჯამების შედეგად, თამარ ბაჩალიაშვილის სიკვდილის მიზეზი უნდა იყოს მედიკამენტოზური ინტოქსიკაცია.

ექსპერტიზის ჩატარების მომენტიდან მისი გარდაცვალებიდან გასულია დაახლოებით 4 დღე. თამარ ბაჩალიაშვილის ცხედარს მექანიკური დაზიანების რამე ნიშნები, მათ შორის, ინექციის კვალი არ აღენიშნება. ქიმიურ-ტოქსიკოლოგიური გამოკვლევით თამარ ბაჩალიაშვილის გვამიდან აღებულ ბიოლოგიურ ობიექტებში აღმოჩენილი მედიკამენტების ორგანოებში განაწილების თანაფარდობა დამახასიათებელია ნივთიერების პეროლარული, ანუ პირის ღრუს მეშვეობით და არა საინექციო გზით მიღების შემთხვევისათვის. პრეპარატების მოხვედრა თამარ ბაჩალიაშვილის კუჭ-ნაწლავის ტრაქტში შესაძლებელი იყო მხოლოდ საყლაპავი გზით და არა საინექციო გზით.



თამარ ბაჩალიაშვილის ავტომანქანიდან ამოღებულ ბაკურიანის ბოთლში დარჩენილ წყლის წვეთში აღმოჩნდა ადრენორეცეპტორებისა და ჰისტამინური რეცეპტორების მაბლოკირებელი პრეპარატები. ტაბლეტის ფორმით არსებული მედიკამენტების შემადგენლობიდან გამომდინარე, მათი სითხეში მათ შორის, წყალში გახსნისას მიიღება სუსპენზია, ანუ სითხეში სხვადასხვა ზომის მყარი ნაწილაკები. ასეთ შემთხვევაში სითხე იქნება შემღვრეული და არა გამჭვირვალე და უფერული, რაც გამორიცხავს ტაბლეტის გახსნას ბოთლში, რადგან ქიმიური ანალიზის შედეგად აღნიშნული ნივთიერებები აღმოჩნდებოდა არა კვალის სახით, არამედ უფრო დიდი რაოდენობით, – განაცხადა გულუაშვილმა.

პროკურორის თქმით, თამარ ბაჩალიაშვილის საქმეში მოიპოვება აუდიო-ვიდეოჩანაწერები, სადაც ის ტყეში თვითმკვლელობით სიცოცხლის დასრულების შესაძლებლობაზე საუბრობს.

მასალა საკმაოდ მძიმე საყურებელი და მოსასმენია, რაც, მისი შეფასებით, თამარ ბაჩალიაშვილის მძიმე ფსიქოლოგიურ მდგომარეობას ასახავს.

– საქმეში ნამდვილად მოიპოვება გარკვეული ვიდეო, ისევე, როგორც აუდიომასალა, რომელიც ნამდვილად საკმაოდ მძიმე საყურებელი და მოსასმენია. ვადასტურებთ, რომ ნამდვილად არსებობს ვიდეოჩანაწერები, სადაც თამარ ბაჩალიაშვილი საუბრობს ტყეში თვითმკვლელობით სიცოცხლის დასრულებაზე.

ამგვარი აუდიომასალა საქმეში მოიპოვება. ზოგადად, ის ვიდეომასალა, რაც მისი მობილური ტელეფონიდან და „იუთუბ“ არხიდან არის მოპოვებული, როგორც ვთქვი, საკმაოდ მძიმე საყურებელი და მოსასმენია, რაც თამარ ბაჩალიაშვილის მძიმე ფსიქოლოგიურ მდგომარეობას ასახავს, – აღნიშნა პროკურორმა.

# „ხელისუფლებამ ვალად აღებული მილიონები საკუთარ ბიზნესში „გადააკატავა“

## გიორგი გუგავა: „ოცნებამ“ საარჩევნო კამპანია კოვიდზე ააწყო“

ნონა ცაბაძე

**„ახალი თაობის“ კითხვებს გიორგი გუგავა პასუხობს.**

***– ბატონო გიორგი, დიდი დრო აღარ დარჩა არჩევნებამდე, ამ ფონზე კი ვისმენთ შეფასებებს, რომ ოპოზიციური პარტიების რეიტინგი არცთუ დამაიმედებელია. ამას ბოლო კვლევებიც ადასტურებს. რა მოლოდინები გაქვთ, რამდენად მძიმე არჩევნები გველის?***

– საკმაოდ რთული არჩევნები გველის, ვფიქრობ, გადამწყვეტი და მნიშვნელოვანი ქვეყნისათვის, მისი სახელმწიფოებრიობისათვის, იმ სოციალურ-ეკონომიკური პრობლემების მოსაგვარებლად, რაც ჩვენს ქვეყანას აწუხებს, ოლიგარქიის დასამარცხებლად და ასე შემდეგ. რაც შეეხება კვლევებს, როგორ წესი, საქართველოში ასეთი პრაქტიკა დამკვიდრდა, რომ სოციოლოგიური კვლევები ემსახურება არა იმას, რომ გამოკვლეულ იქნეს საზოგადოებრივი აზრი, არამედ შეიქმნას საზოგადობრივი აზრი, ე.წ. შეკვეთილი კვლევებით. როგორც წესი, ამ კვლევებში და ე.წ. რეიტინგებში ის პარტიები არიან წამოწეული წინ, რომლებიც ფულს იხდიან. აქედან გამომდინარე, ამას განსაკუთრებულ ყურადღებას ნუ მივაქცევთ. ძალიან კარგად ვიცი, როგორია საზოგადოებრივი განწყობები, რას ფიქრობს ხალხი. აქედან გამომდინარე, ხალხი განაჩენს გამოუტანს „ოცნებასა“ და ოლიგარქს 31 ოქტომბრის არჩევნებზე.

***– სიტუაცია საკმაოდ მძიმეა ეპიდემიოლოგიური თვალსაზრისითაც. არის მოლოდინი, რომ ხელისუფლება ახალ შეზღუდვებს დააწესებს. თქვენ რა მოლოდინი გაქვთ?***

– ხელისუფლებამ ეს სიტუაცია აქცია პოლიტიკურ იარაღად. მათ ჰგონიათ, რომ როგორც პირველი ტალღისას ჩაკეტეს ქვეყანა, დააშინეს მოსახლეობა, ახლაც ამით გავლენ ფონს. ამ ჩაკეტვამ და იზოლაციამ მოიტანა უმძიმესი შედეგები ეკონომიკური და სოციალური თვალსაზრისით, რასაც ვერ გავურბივართ და ყოველდღიურად ამძიმებს ჩვენს სიტუაციას. აქედან გამომდინარე, ეს მანიპულაციები დღეს უკვე არ გაუვათ. ისინი ცდილობენ, შექმნან ილუზია, რომ ისინი არიან მხსნელები და კოვიდზე უნდათ, ააწყონ მთელი წინასაარჩევნო კამპანია. ცდილობენ, მანიპულაციის გზით აჩვენონ დაავადებულთა დიდი ციფრები, რომ მერე არჩევნების წინ ცოტა დაუწიონ და განაცხადონ, აი, ჩვენ ეს შევძელითო.




***– თქვენ ფიქრობთ, რომ ამით მანიპულირებენ?***

– რა თქმა უნდა, ამაში დარწმუნებული ვარ. 10 დაავადებული რომ გვყავდა, ნოკდაუნი გამოაცხადეს და ქვეყანა ჩაკეტეს, ახლა 200-მდე ავიდა და თითქოს არაფერი ხდება. კიდევ ერთხელ ვაცხადებ, ეს ციფრები საქართველოში, სამწუხაროდ, არის მანიპულირებული. ჩვენდა სამწუხაროდ, ამაში ჩართული არიან ჩვენი ეპიდემიოლოგები, რომლებიც ლამის „ქართული ოცნების“ აქტივისტებად იქცნენ.

***– ამით რის თქმა გინდათ, რომ „ოცნებას“ ეხმარებიან?***

– რა თქმა უნდა და ცდილობენ, ამით საზოგადოებრივი განწყობის მანიპულაცია მოახდინონ. კიდევ ერთხელ ვამბობ, არ ჭამს ამას ხალხი! კოვიდის წინააღმდეგ ბრძოლის სტატუსი გამოიყენეს იმისათვის, რომ დამატებითი მილიარდები ეშოვათ. ხალხი დატოვეს გაღატაკებული და დამშეული.

***– ჩვენს ეკონომიკაზე არ აისახა ეს მილიონები...***

– ეკონომიკაზე არ აისახა იმიტომ, რომ შეჭამეს ეს ფული, ასევე რამდენიმე მილიარდი აიღეს ვალად, რომელიც ჩვენი და ჩვენი შვილების გადასახდელია. მათ კი ეს თანხები „გადააკატავეს“ საკუთარ ბიზნესში. 100 მილიონი გაუშვეს სამშენებლო ბიზნესში, ვითომ ამ პანდემიის გამო, ბიზნესის დახმარების მიზნით. ეს დახმარება შეხვდა, მაგალითად, ქუცნაშვილს, რომელსაც სასტუმროს კრედიტს ჩვენ ვუფარავთ. ეს 100 მილიონი მთლიანად მათ ბიზნესშია წასული. საკუთარ ბიზნესში გადააკატავეს ეს ფული.

***– ანუ ისევ საკუთარი ბიზნესი გაამყარეს?***

– რა თქმა უნდა. გარდა ამისა, 6-7 მილიონი

გაგრძელება მე-4 გვერდზე

ახალი თაობა
გამოდის 1993 წლის 23 ივლისიდან
მთავარი რედაქტორი – სოსო გოგინაშვილი
რედაქტორი – ლალი ასლანიშვილი
საფინანსო სამსახური – კლარა ბალავაძე
სარეკლამო სამსახური – 599-532-690
დირექტორი – ზურაბ ბერიძე
გავრცელების სამსახური – მერაბ ლევერაშვილი
ვებგვერდი: www. akhalitaoba.ge ელ.ფოსტა: axtaoba@mail.ru
ტელეფონი: 599-532-690

რედაქციაში შემოსული მასალები არ რეცენზირდება და ავტორებს არ უბრუნდება. რედაქციის თანხმობის გარეშე გაზეთში დაბეჭდილი მასალების, სურათების და სარეკლამო განცხადებების სრული ან ნაწილობრივი გამოყენება აკრძალულია. სტატიაში გამოქვეყნებული მასალების სიზუსტეზე პასუხს აგებს ავტორი. საავტორო უფლებები დაცულია.

# სერგი კაპანაძე: „ნათია თურნავა ჩაფლავებული მთავრობის ჩაფლავებული მინისტრია“

## „მთავრობამ რაც გააკეთა, ყველაფერი საარჩევნო გათვლა იყო, თავიანთ შემომწირველებსა და თავიანთ ხალხს დაეხმარნენ“

იაგო ნაცვლიშვილი

**პარასკევს, 18 სექტემბერს, ეკონომიკის მინისტრი ნათია თურნავა პარლამენტში ინტერპელაციის წესით იმყოფებოდა და დეპუტატების კითხვებს უპასუხა, თუმცა ბევრ კითხვაზე პასუხი ისევ ბუნდოვანი დარჩა. მინისტრმა აქცენტი ისევ „ცხრა წელსა“ და იმაზე გააკეთა, როგორ კარგად იმუშავა საქართველოს მთავრობამ, ვითარება კი მსოფლიოში შექმნილი საერთო მძიმე ფონიდან გამომდინარე დამძიმდა. უპასუხა თუ არა ოპოზიციის კითხვებს მინისტრმა, რა გააკეთა ან რა უნდა გაეკეთებინა მთავრობას და თავად რას გააკეთებენ, თუ ხელისუფლებაში მოვლენ? — ამ საკითხებზე „ახალ თაობასთან“ ინტერვიუში „ევროპული საქართველოს“ ერთ-ერთი ლიდერი სერგი კაპანაძე საუბრობს.**

***– პარლამენტში ინტერპელაციის წესით ეკონომიკის მინისტრი იმყოფებოდა. თუ მიიღეთ მისგან პასუხი, რას აპირებენ არსებულ გამოწვევებთან დაკავშირებით?***

– მე მგონი, თქვენ ასეთი მარტივი კითხვა არასდროს დაგისვამთ. ჩემი პასუხია არა.

***– რა მოისმინეთ მისგან რეალურად იმაზეც, რა სამუშაოც შეასრულეს და იმაზეც, რასაც აპირებენ?***

– ჩვენ გვქონდა ძალიან კონკრეტული კითხვები. მაგალითად, რატომ იყო გამართლებული ეკონომიკის ჩაკეტვა მაშინ, როდესაც 10 და 15 ადამიანი იყო ინფიცირებული და დღეს რატომ არის გაუმართლებელი, როდესაც არის 200. მაშინ, როდესაც ეკონომიკური ვარდნაა კატასტროფული და სიღარიბე მატულობს და ლარი უფასურდება, რა არის ის ნიშნული, როდესაც გადასახადების დაწევაზე შეიძლება საერთოდ იფიქრო. მაშინ, როდესაც ასეთი ეკონომიკური ვარდნაა, რატომ არ ფიქრობენ, რომ შეამცირონ ადმინისტრაციული ხარჯები. პასუხებად მივიღეთ კლასიკურად „ქართული ოცნების“ პასუხები. ერთი მხრივ, ის, რომ ყველაფერი არის კარგად და მეორე ის, რომ რა ცუდი იყო „ცხრა წელი“. რაც მთავარია, იყო ტყუილები, რაღაც კითხვებზე პასუხები არ იყო.

მაგალითად, ლოგიკური კითხვები იყო ის, რომ კარანტინი რატომ არის დისკრიმინაციული საქართველოს მოქალაქეების მიმართ. ამაზე არანაირი პასუხები არ იყო. აბსურდული პასუხები მოვისმინეთ, რაც, როგორ უნდა გაიმეორო, არც კი ვიცი. გვითხრა, რომ უცხოელის ჩამოსვლის შემთხვევაში მისი გადაადგილების გაკონტროლება უფრო მარტივია, ვიდრე ქართველის ჩამოსვლის შემთხვევაში. როდესაც ვეკითხებით, საიდან არის ეს დასკვნა, მაშინ, როდესაც უცხოელი როცა ჩამოდის საქართველოში, მთელ ქვეყანას ნახულობს და ქართველი ლიმიტირებულ წრესთან მიდის. ამას რომ თავი დავანებოთ, საფრანგეთში მცხოვრებ ქართველს, რომელსაც მოქალაქეობა აქვს, საფრანგეთის კარანტინი არ ეკუთვნის და მისივე ოჯახის წევრს, რომელსაც საქართველოს მოქალაქეობა აქვს, მას ეკუთვნის. ამაზე არანაირი პასუხები არ არის. ამიტომ შევარქვით ჩაფლავებული მთავრობის ჩაფლავებული მინისტრი.

***– ეს იყო „ქართული ოცნების“ ტიპური საარჩევნო პროგრამის ნაწილი და პარლამენტშიც ეს მოხდა, თუნდაც ის „ცხრა წელი“, რომელიც თქვენც ახსენეთ?***

– კი, ზუსტად, ოღონდ იმ ცხრა წლის განმავლობაში რაღაც პერიოდში ნათია თურნავა იყო მინისტრის მოადგილე და, როგორც ჩანს, ენას ძვალი არ აქვს და ყველაფერს ლაპარაკობენ.

***– მინისტრის გამოსვლიდან დაგრჩათ შთაბეჭდილება, რომ მძიმე ზამთარი გველოდება?***

– ნამდვილად. მთელი ეს მიდგომა არის ის, რომ ერთი სული აქვთ, როდის მიაღწევენ არჩევნებამდე. არჩევნების მერე რა იქნება, არ აინტერესებს. ახლა რა ვითარებითაც მივდივართ, ეს ნიშნავს, რომ უმძიმესი მდგომარეობა გვექნება. გამოსავალი იქნება ის, რომ ესენი შევცვალოთ და მერე სწრაფად გავატაროთ რეფორმები, რომ ხალხმა მყისიერად იგრძნოს შვება, მაგრამ ამასაც დასჭირდება დრო, იქიდან გამომდინარე, რა მდგომარეობაც ახლაა.

***– ანუ იმას ამბობთ, რომ „ოცნება“ მოქმედებს სპონტანურად, რომ როგორმე მიაღწიოს არჩევნებამდე და მერე რა იქნება, ამაზე საშუალოვადიანი და გრძელვადიანი გათვლა არ აქვს?***

– გრძელვადიანი გათვლა კი არა, ახლაც არანაირი გათვლა არ აქვთ. უბრალოდ, უნდათ ის, რომ როგორმე მიბობღდნენ არჩევნებამდე, რომ როგორმე გადააგორონ ეს. გათვლაზე ლაპარაკი ზედმეტია.

***– მაგრამ პოლიტიკურ პარტიას ისიც ხომ უნდა ესმოდეს, რომ შესაძლოა, არჩევნები მოიგოს, მაგრამ, შედეგი თუ მძიმე იქნება, შესაძლოა, ქუჩაში გამოსული ათასობით მოქალაქე იხილოს?***

– ეს ასეა, მაგრამ „ქართული ოცნება“ ხომ კლასიკური პოლიტიკური პარტია არ არის?! ეს არის ივანიშვილი და მისი გუნდი. მათ თავიანთი პირადი კეთილდღეობა აინტერესებთ უფრო მეტად, ვიდრე გრძელვადიანი გეგმა.

***– ხალხს აინტერესებს, რას ჰპირდებით ოპოზიციური პარტიები. კრიტიკა მარტივია, მაგრამ თქვენ რას ჰპირდებით?***

– ჩვენ გვაქვს კონკრეტული გეგმა, რა უნდა გაკეთდეს ამ მდგომარეობიდან გამოსასვლელად. პანდემიასთან მიმართებით უნდა იყოს შეზღუდვების გზით სიარული კი არა, არამედ ჯანდაცვის სექტორების გაზრდა უნდა მოხდეს, ექიმების რაოდენობის გაზრდა, საწოლების დამატება... რათა პაციენტების გაზრდილმა რაოდენობამ მკურნალობის პროცესში პრობლემები არ შექმნას. პირველი ამოცანაა, რომ მომზადებული უნდა იყო გაზრდილ რაოდენობაზე. მეორე, მნიშვნელოვანია პროპაგანდა, იქნება ეს პირბადის ტარებასთან დაკავშირებულ საკითხებზე თუ სხვა რამე. რასაც მთავრობა ამბობდა, დავამარცხეთ პანდემიაო, ეს უკუშედეგს იძლევა, მაშინ, როდესაც პირიქით არის.



მესამე, დახმარებები უნდა გაიცეს მათზე, ვისზეც არის ჩამოკიდებული ეკონომიკა. ეს არის ადამიანების საშუალო კლასი, რომელიც ყველაზე მოწყვლადი ფენაა. მეოთხე, უნდა მოხდეს მეტი ფულის დატოვება ეკონომიკაში, რათა არ ჩამოიქცეს ეკონომიკა. ამის სწორი გზაა გადასახადების შემცირება. თუ გადასახადებს შეამცირებ, ეს ფული რჩება ხალხს.

***– ბიზნესის დახმარება არის ძალიან მნიშვნელოვანი, რადგან მას ჰყავს ბევრი ადამიანი დასაქმებული და მის დახმარებას ამ მეოთხე ნაწილში განიხილავთ?***

– დახმარება იქნება სწორედ გადასახადების შემცირება. ამ დროს რამდენიმე მილიონი ლარი რჩება ეკონომიკაში. როდესაც უმცირებ მოგების, საშემოსავლოს, ქონების გადასახადს, ფასები მოდის ქვემოთ და ბიზნესთან რჩება მეტი ფული. როდესაც გადასახადს ამცირებ, მეტი ფული შემოდის ქვეყანაში.

ახლა რასაც აკეთებენ, ეს კატასტროფაა. 400 მილიონი დოლარი პრაქტიკულად დაწვეს და მაინც გაექცათ. აიღეს ვალები, სოციალური პროგრამები დააფინანსეს. ეს ვალები ჩვენი გადასახდელია და უკვე კატასტროფული სურათი მივიღეთ. დააფინანსეს ისეთი ადამიანები, რომლებიც ეკონომიკას არ ქმნიან, მაშინ, როცა პირიქით უნდა იყოს.

პირველი ამოცანაა, რომ კორონას კრიზისი გადავაგოროთ, ოღონდ მერე არის ამოცანა, რომ ქვეყანა გადარჩეს. ახლა ქვეყანა, უბრალოდ, კატასტროფის წინაშეა. ამ ყველაფრის შემდეგ კი შანსი გვაქვს იმის, რომ მეტი ფული დარჩეს ხალხს.

ჩვენი პროგრამული ცვლილებების ხედვა ასეთია. ერთ-ერთი არის სახელმწიფო საკუთრების გადაცემა კერძო საკუთრებაში. დაახლოებით 70% მიწის, საძოვრების, ტყეების და ა.შ. სახელმწიფო საკუთრებაშია და 30%-ია კერძოში. ეს პირიქით უნდა იყოს, ამ დროს ადამიანები უფრო მდიდრდებიან. გადასახადების შემცირებით კი დაახლოებით 2.000 ლარი რჩება ოჯახებს, რომელსაც გამოიყენებენ თავიანთი ბიზნესისთვის. ბოლოს, ამ ყველაფერს ვერ გააკეთებ ისე, თუ მთავრობის ხარჯი არ შეამცირე მნიშვნელოვნად. ამ ვითარებაში სხვა გამოსავალი არ არის, ესენი კი მთავრობის ხარჯებს ისევ ისე აგრძელებენ, ვალებს იღებენ და არასწორ სოციალურ დახმარებებში გასცემენ.

***– მთავრობის ხარჯების შემცირებაში რას გულისხმობთ, მთავრობისა და ადმინისტრაციის შემადგენლობა უნდა შემცირდეს?***

– აქ იგულისხმება სხვადასხვა ხარჯი, რაც მიდის სხვადასხვა ტიპის მუნიციპალიტეტების აიპ-ებზე. ხალხი დასაქმებულია იმ მიზნით, რომ, უბრალოდ, გაფორმებულია, თორემ არავითარი დოვლათი არ იქმნება და ბიუროკრატიის საკვებად არის ქცეული. შტატგარეშე თანამშრომლების შემცირება უნდა მოხდეს, რომლის ანაზღაურებაც წლიურად 12%-ით იზრდება და ჯამში რამდენიმე ასეული მილიონი ლარია. ეს ადმინისტრაციული ხარჯები განსაკუთრებით უნდა შემცირდეს სამინისტროების შიგნით.

2016 წელს რაც იყო ადმინისტრაციული ხარჯები, ჩვენ ვტოვებთ იმ ნიშნულზე. იმის მერე, რაც გაიზარდა, იმას მოვაკლებთ მარტო და ეს საკმარისია იმისათვის, რომ ქვეყანამ იფუნქციონიროს, დარჩეს ეს ეკონომიკაში და ის ხალხის ჯიბიდან არ ამოვიღოთ.

***– ცალკეულ სექტორებში მთავრობამ გააკეთა სუბსიდირება. მიიჩნევთ, რომ ესეც საარჩევნო გათვლა იყო, რომ რაღაც ბიზნესი წაეხალისებინათ და ა.შ?***

– ყველაფერი, რაც გააკეთეს, საარჩევნო გათვლა იყო თავიანთი ხალხისთვის, თავიანთი შემომწირველებისთვის, თავისად „გარანტირებული პირებისთვის“ და არავისთვის სხვისთვის. ამიტომ არის, რომ „აწარმოე საქართველოში“ ფარგლებში 30 მილიონი ვერ დაიხარჯა, რომელიც ტურიზმს ეხებოდა, ოქტომბერში 40 მილიონი დაიხარჯება არჩევნების წინ. სოფლის მეურნეობის სექტორში დახმარებები მათ შემომწირველებს მისცეს და ისეთ ხალხს, რომლებიც მათთან იყვნენ დაკავშირებული.

***– გჯერათ, რომ ფრენებს ნოემბრიდან აღადგენენ?***

– არავინ იცის, რას იზამენ. მათ სიტყვას ფასი არ აქვს. ფრენები მაშინ უნდა აღედგინათ და არ დაეხურათ ქუთაისში „ვიზეარი“, როდესაც დაბალი მონაცემები იყო და ევროპული ქვეყნებიც მწვანე იყო. მაშინ თქვეს უარი. ახლა, როდესაც ჩვენთანაც მაღალია მონაცემები და ევროპულ ქვეყნებშიც დაიძრა, ამბობენ, რომ რიგაში აღადგენენ ფრენას. ალოგიკურია. მაშინ უნდა აღედგინათ, როდესაც საჭირო იყო და არა მაშინ, როდესაც საფრთხეებია.

ნოემბრიდან აღადგენენ თუ არა, ეგ უკვე მათი საქმე აღარ იქნება, იმიტომ, რომ აღარ იქნებიან ხელისუფლებაში.

# დავით ფურცხვანიძე: „თამარ ბაჩალიაშვილის გარდაცვალება უნიჭოდ დადგმული ინსცენირებაა“



19 სექტემბერს თამარ ბაჩალიაშვილის საქმეზე საქალაქო სასამართლოში მაგისტრი მოსამართლის წინაშე დავით ფურცხვანიძე გამოიკითხა.

როგორც ფურცხვანიძემ გამოკითხვის შემდეგ ჟურნალისტებს განუცხადა, თუ სამართალდამცავ უწყებებს მეტი დეტალი აინტერესებთ, მის საკომუნიკაციო საშუალებებს – მობილურს, ლეპტოპსა და კომპიუტერის პროცესორს ფლობენ, სადაც „ყველაფერი წერია“.

– დავასახელე გამოკითხვის დროს არა მხოლოდ სახელი და გვარი, არამედ სხვა კონკრეტული დეტალები, დაკავშირებული იმ პიროვნებასთან, მის სტრუქტურასთან, ჩვენს საერთო სტრუქტურასთან. თუ სრული იდენტიფიცირება უნდათ, ჩემი საკომუნიკაციო საშუალებები მათთან არის, იმაში წერია ყველაფერი, სხვადასხვა რეკვიზიტები, მაგრამ ისიც საკმარისია, რაც მე ვუთხარი. ეს ადამიანი არც საქართველოშია, არც რუსეთშია. ეს არის კონფიდენციალური ინფორმაცია, რომელიც მხოლოდ პროკურატურას გადავეცი, საჯარო არ არის, არა იმიტომ, რომ ვინმე იმალება, საქმის ინტერესებიდან გამომდინარე, – განაცხადა ფურცხვანიძემ.

როგორც ის აღნიშნავს, ინფორმაციას, რომ თამარ ბაჩალიაშვილის გარდაცვალება, შესაძლოა, ყარაბაღის კონფლიქტსა და იარაღით ვაჭრობას უკავშირდება, ბაჩალიაშვილის დედას, თეონა თამაზაშვილს თვითონ ვერ მიაწვდიდა, რადგან არ იცნობდა.

– ერთხელ არის ნახსენები, როცა დიდი ფულის გათეთრებაზე წავიდა საუბარი, მე ჩემს სტატიაში, რომელიც გამოქვეყნდა და გადაბეჭდა ექვსმა დასავლურმა საინფორმაციო სააგენტომ, მათ შორის ამერიკულმა, არის მითითება ასეთი – იქ, სადაც არის დიდი შავი ფულის ბრუნვა, როგორც წესი, ეს ფული ამის შემდეგ საქონელდება უკანონო ბიზნესში, მათ შორის, იარაღით ვაჭრობაში. ამაზე მიება ის თემა, რომ თუ სადმე რეალიზდება უკანონო იარაღი, ეს არის სამხრეთ კავკასიაში, ყარაბაღის კონფლიქტი, – განაცხადა ფურცხვანიძემ.

ამასთან, როგორც ის აცხადებს, ამერიკის შეერთებულ შტატებში გამგზავრებას გეგმავს, რადგან „გარკვეულ ფინანსურ საქმეებზე გამოძიება ბოლომდეა მისაყვანი“.

– ხელს რა შემიშლის? ვგეგმავ ამერიკაში გამგზავრებას, ბილეთებიც მაქვს უკვე, 30-ში იქით, 11-ში უკან. მიზანია სწორედ დიდი კორუფციული, ფინანსური, ფულის დარიცხვების შესახებ რაც არის, ამის შესახებ გამოძიება ბოლომდე არის მისაყვანი, ერთ-ერთი თემა ესეც არის. ბაჩალიაშვილი არის ერთ-ერთი შემადგენელი ეპიზოდი დიდ საქმეში, – განაცხადა ფურცხვანიძემ.

მისივე თქმით, ბაჩალიაშვილის საქმეზე ბევრი გარემოება და გარკვეული ჩვენებები ეჭვს ბადებს. თამარ ბაჩალიაშვილის გარდაცვალება კი უნიჭოდ დადგმული ინსცენირებაა.

– ერთ რამეს გეტყვით ბაჩალიაშვილის გარდაცვალებაზე, მკვლელობაზე. ის თავისი ქმედებებით, თუნდაც, აფთიაქში წამლების ყიდვა იყოს, არის მოდელირებული და სერიოზულად დადგმული ინსცენირება, მაგრამ უნიჭოდ. ამიტომ ჩნდება ნაწილ-ნაწილ, თავს იჩენს ის შეუსაბამობები, რაც ამ ინსცენირებაში იყო ცუდად დალაგებული, – განაცხადა ფურცხვანიძემ.

მისთვის სატელიტური ფოტოები არავის და მათ შორის არც მიხეილ რამიშვილს არ მოუთხოვია. აპირებს, ამერიკაში ბაჩალიაშვილის საქმის გარკვეულ დეტალებთან დაკავშირებით, მათ შორის სატელიტური ფოტოს თაობაზე, ალტერნატიული ექსპერტიზა ჩაატაროს.

კომენტარი პროკურორმა დავით გუმბერიძემაც გააკეთა.

გუმბერიძის თქმით, დავით ფურცხვანიძემ გამოძიებას მიაწოდა ინფორმაცია, რომ მისი წყარო, სავარაუდოდ, ინგლისში ცხოვრობს და სლავური წარმოშობისაა, თუმცა სახელი და გვარი არ იცის და არც პირადად იცნობს.

– ფაქტი დადასტურდა, რომ ამ პიროვნებამ გადასცა ეს ფოტოსურათები. მოვთხოვეთ კონკრეტული წყაროს დასახელება, თუმცა დაგვისახელა პირი, რომელიც არასდროს ჰყავს ნანახი პირადად და ამბობს, რომ სოციალურ ქსელში ჰქონდა კავშირი, თუმცა სხვა მაიდენტიფიცირებელი ინფორმაცია ვერ დაგვისახელა. ეს ინფორმაცია, შესაძლებელია, ჰქონდეს ტელეფონში, თუმცა ტელეფონიც, რატომღაც, დაუზიანდა ერთი კვირის წინ. შესაბამისად, იქაც ვერ მოიძიებს გამოძიება ამ ინფორმაციას, – განაცხადა გუმბერიძემ.

# „ქმრისთვის ნასროლი ტყვია ცოლს მკერდში მოხვდა“

## მესტიაში მზია კვიციანი დაჭრეს

მესტიის მუნიციპალიტეტის სოფელ ბეჩოში 55 წლის ქალი დაჭრეს.

ცოლ-ქმარს ავტომატური ცეცხლსასროლი იარაღიდან, სავარაუდოდ, თანასოფლელმა ესროლა, რომელთანაც შუახნის ქალის ქმარს დაპირისპირება ჰქონდა. ქმრისთვის ნასროლი ტყვია ცოლს გულმკერდის არეში მოხვდა.

დაჭრილი მძიმე მდგომარეობაში მესტიის საავადმყოფოში გადაიყვანეს, მას სასწრაფო ოპერაცია ჩაუტარდა.

„კურიერის“ ინფორმაციით, როცა ცოლ-ქმარი სახლის სახურავის სარემონტო სამუშაოებს ატარებდა, მათი მიმართულებით გაისროლეს. ერთ-ერთი ვერსიით, დანაშაული, შესაძლოა, წლების წინ მომხდარ მკვლელობას უკავშირდებოდეს, რომელშიც დაჭრილის მეუღლე ფიგურირებს. თუმცა ტარიელ კვიციანი თავად ამბობს, რომ ამ საქმეში გამართლდა.

– პირდაპირ სახურავზე ტყვიები წამოვიდა. სახურავს ახლაც ეტყობა, სადაც არის მორტყმული ტყვიები. ოჯახის გასამწარებლად იყო ნასროლი, ამას ლაპარაკი არ უნდა, – თქვა ტარიელ კვიციანმა.

მომხდარზე შინაგან საქმეთა სამინისტრომ გამოძიება სსკ-ის 19-108, განზრახ მკვლელობის მცდელობა და 236, იარაღის უკანონო შეძენა, შენახვა, ტარება მუხლებით დაიწყო.



**შევიძენ**

ძველ ანტიკვარულ ნივთებს,
ნახატ სურათებს,
ძველ წიგნებს და ფაიფურს.
ტელ.: 598-43-98-57

# შოთა მალაშხია: „ყველა პრობლემის მიმართ კონცეპტუალური მიდგომაა საჭირო“

## „ქართულმა ოცნებამ“ ბელარუსის მოვლენებიდან დასკვნა უნდა გამოიტანოს“

მარიამ მჭედლიშვილი

**რამდენიმე აქტუალურ საკითხზე „ახალი თაობა“ ესაუბრა ქრისტიან-კონსერვატიული პარტიის ლიდერს, ყოფილ დეპუტატ შოთა მალაშხიას.**

***– ქართველი ექსპერტები „ქართულ ოცნებას“ 31 ოქტომბრის საპარლამენტო არჩევნებში უპირობო გამარჯვებას უწინასწარმეტყველებენ. მათი აზრით, ამას ხელს ვერ შეუშლის ვერც ლარის კურსის ვარდნა და ვერც კორონავირუსის ზრდა. თქვენ რას იტყვით?***

– ნორმალური არჩევნების შემთხვევაში, „ქართული ოცნება“ ვერ გაიმარჯვებს. თეორიულად დავუშვათ, რომ „ოცნებამ“ არჩევნები მოიგო. რა შეიცვლება?! ეკონომიკა წინ წავა? ლარი დასტაბილურდება? კრიმინალი გამოსწორდება? ხელისუფლება თავს დაანებებს ნეპოტიზმსა და კორუფციას? ტერიტორიული მთლიანობა აღდგება? ყველაფერი ხომ ისევ ისე დარჩება, როგორც არის. გამარჯვების დაფიქსირება ყოველთვის მოგებას არ ნიშნავს. ლუკაშენკომ ქაღალდზე მაღალი მაჩვენებლები მიიღო, თუმცა ცუდად აქვს საქმე.

***– ევროკავშირი ლუკაშენკოს ლეგიტიმურობას არ ცნობს.***

– დიახ. „ქართულმა ოცნებამ“ ბელარუსის მოვლენებიდან დასკვნა უნდა გამოიტანოს. ისე, საქართველო ბელარუსზე უარეს მდგომარეობაშია: იქ არც ასეთი დონის კორუფცია და ნეპოტიზმია და არც სიღატაკე. ლუკაშენკო, ავად თუ კარგად, მაინც არჩეულია. საქართველოს ფაქტობრივი მმართველი ივანიშვილია. არჩევნები აქაც ყალბდება.



***– საქართველოში მმართველი პარტიები ბოროტად იყენებენ მათ ხელთ არსებულ ბერკეტებს. ფიქრობთ, რომ „ქართულ ოცნებას“ გაყალბებაც დასჭირდება?***

– გაყალბების გარეშე „ქართული ოცნება“ ძალაუფლებას ვერ შეინარჩუნებს. ეს გამორიცხულია. თავისუფალი არჩევნებით ის ვერ იმარჯვებს. ამას ადასტურებს ადამიანებთან კონტაქტი. ისინი „ქართულ ოცნებას“ ხმას არ აძლევენ. მეორეც, კარგი ხელისუფლებაც რომ იყოს, მას მეორე ვადა ეწურება. დროა, სხვები მოვიდნენ.

***– არჩევნების მოახლოებისას აქტუალური ხდება კითხვა – ვის აქვს რეიტინგის გაზრდის შესაძლებლობა? როგორი ტიპის ძალებს აქვთ შანსი?***

– ვფიქრობ, რომ ამის შანსი აქვთ ძალებს, რომლებსაც ჩამოყალიბებული აქვთ იდეოლოგია. საერთოდ, დროა, გაირკვეს, ვინ მემარცხენეა და ვინ – მემარჯვენე, ვინ არის კონსერვატორი და ვინ – ლიბერალი, რომელია პრორუსული პარტია და რომელი არგებს დასავლურ ფასეულობებს, ქართულ რეალობას.

***– საქართველოს ამომრჩეველი ვის ანიჭებს უპირატესობას?***

– საქართველოს ამომრჩევლების უმრავლესობა კონსერვატორი და მემარჯვენეა. მას უნდა ძლიერი საშუალო ფენა და მცირე ბიუროკრატია, დღევანდელი პრობლემების გადაწყვეტა. პირადად მეც ამ იდეოლოგიას ვიზიარებ, მთავარ პრობლემად კი ტერიტორიული მთლიანობის აღდგენა მიმაჩნია. აუცილებელია, საქართველომ მკაფიოდ გამოხატოს თავისი დამოკიდებულება ქართველების მიმართ განხორციელებული ეთნიკური წმენდისადმი. პარტიები ამით უნდა დაკავდნენ.

***– ბოლო დროს ოსები ქართველებს ადანაშაულებენ გენოციდში. მათი მტკიცებით, ქართველები პერმანენტულად ანადგურებდნენ ოს ხალხს, ამის კულმინაცია კი 1920 წელს იყო. აფხაზეთშიც არიან ჯგუფები, რომლებიც ამტკიცებენ, რომ ქართველებმა მეოცე საუკუნეში ორჯერ მოაწყვეს აფხაზების გენოციდი.***

– ამას რომ პასუხი გასცე, საქმე უნდა აკეთო და სახელმწიფოებრივად იაზროვნო. თავის მოსაწონებლად არ ვამბობ, მაგრამ, პარლამენტის ტერიტორიული მთლიანობის აღდგენის კომისიის თავმჯდომარე რომ ვიყავი, კომისია დიდ სამუშაოს ასრულებდა. ჩემამდე და ჩემ შემდეგ კომისიის თავმჯდომარეები ვინც იყვნენ, მათი გვარებიც არავინ იცის. დევნილები დღემდე მხვდებიან და თავისიანად მივაჩნივარ. ეს არის ერთადერთი შემთხვევა, როცა მინდა, ტყუილი ვთქვა. როცა მეუბნებიან, რომ სოხუმელი და ოჩამჩირელი ვარ, არ მინდა, მოსაუბრე გავაწბილო, რომ არა ვარ აფხაზეთიდან. მათ თვალში მე აფხაზეთელი ვარ. აფხაზების და ოსების მხრიდან ქართველების დადანაშაულება რუსული პროპაგანდის შედეგია. ამის საპასუხოდ აუცილებელია საინფორმაციო კამპანია.

***– რაც არ ჩანს?***

– ხელისუფლების მხრიდან არ ჩანს. ხელისუფლებაში არ ვარ, მაგრამ ჩემი ძალებით ვცდილობ, დავუპირისპირდე რუსულ პროპაგანდასა და საინფორმაციო ომს საქართველოს წინააღმდეგ. სულ ახლახან ვთარგმნე დურნოვოს წიგნი იმაზე, თუ რა ბოროტება აქვს ჩადენილი რუსეთს საქართველოს ეკლესიის წინააღმდეგ. დურნოვოს ოჯახი მთლიანად გაანადგურეს. დარჩა მისი წიგნი, სადაც აღწერილია, როგორ ანადგურებდა და იტაცებდა ჩრდილოელი მეზობელი საქართველოს ეკლესიის ქონებას, როგორ დააკვდა წმინდა ნინოს განსასვენებელს რუსი ეგზარქოსი, რომელსაც საფლავის ამოთხრა უნდოდა. თარგმნილ წიგნს ერთვის დისკი და 3 დოკუმენტური ფილმი. რუსეთის საწინააღმდეგოა ასევე 2-სერიიანი დოკუმენტური ფილმი უკრაინის ისტორიაზე.

***– უკრაინასა და საქართველოს ერთ კონტექსტში მოიაზრებთ?***

– რასაკვირველია, მოლდოვასთან ერთად. ჩვენ ერთი ფრონტი გვაქვს რუსეთის წინააღმდეგ. რუსეთის საქმეები ჩვენი ეკლესიისა და ზოგადად ქვეყნის მიმართ ყველაზე კარგად შეაფასეს კირიონ მეორემ და ამბროსი ხელაიამ. უკრაინაზე გადაღებულ ფილმს ჰქვია „თქვენ ვალდებული ხართ“. ესაა მიმართვა უკრაინის გარეთ მყოფი ადამიანებისადმი. ჩვენ უნდა ვიყოთ უკრაინელების გვერდით. მინიმუმ, ჩვენ მათ უმძიმეს ისტორიას უნდა გავეცნოთ. ასეთია კონცეპტუალური მიდგომა რუსეთისადმი. ზოგადად, პოლიტიკაში აუცილებელია კონცეპტუალური მიდგომა ყველა სფეროში ყველა პრობლემის მიმართ.

# „ხელისუფლება მიდის გეგმაზომიერად. ოპოზიცია შეცდომებს უშვებს“

## რამაზ საყვარელიძე: „ოპოზიცია ზრუნავს იმაზე, რომ ამომრჩეველი დაარწმუნოს, თავად კარგია და „ქართული ოცნება“ არ ვარგა“



**პოლიტოლოგი, ფსიქოლოგი რამაზ საყვარელიძე „ახალ თაობასთან“ ინტერვიუში ქვეყანაში ბოლო დროს განვითარებულ პოლიტიკურ პროცესებზე საუბრობს.**

ნათია ხურცილავა

***– ბატონო რამაზ, ბოლო სოციოლოგიური კვლევებით, ამომრჩევლის 70%-ზე მეტი გადაუწყვეტელია. ის ვერც ერთ პოლიტიკურ ძალასთან ვერ ახდენს იდენტიფიცირებას. რით ხსნით ამ მოცემულობას?***

– ბევრი ფაქტორით. თუმცა ეს ხდება არა მხოლოდ ჩვენთან, არამედ ბევრ ქვეყანაში. არჩევნებისადმი ნიჰილისტური დამოკიდებულება, როდესაც არჩევნები, მოდი, ასე ვთქვათ, აზარტს კარგავს, უცხო არ არის. ჩვენთან არჩევნებში მონაწილეობა ნებაყოფლობითია, ბევრ ქვეყანაში სავალდებულოა.

***– მაგალითად, საბერძნეთში, სადაც ძალიან მაღალია ჯარიმა.***

– დიახ. ამ მეთოდს იმიტომ მიმართავენ სახელმწიფოები, რომ ამომრჩეველი გახდეს პოლიტიკური პროცესის მონაწილე, მან აიღოს გარკვეული პასუხისმგებლობა სახელმწიფოს წინაშე.

***– ჩვენს შემთხვევაში ეს უფრო ნიჰილისტური ფაქტორებით არის განპირობებული თუ კითხვაზე არ პასუხობენ?***

– როგორც წესი, ადამიანები ბოლო წუთში მაინც იღებენ გადაწყვეტილებას. ამიტომ არის, რომ არჩევნების შემდეგ ყოველთვის გაცილებით ნაკლებია მათი რაოდენობა, ვინც უარი თქვა არჩევანის გაკეთებაზე. თუმცა სხვა ფაქტორებიც არსებობს, თუნდაც რესპონდენტის უნდობლობა სოციოლოგიის მიმართ ზოგადად. ამას, რასაკვირველია, ემატება თავად პოლიტიკური პროცესი, როდესაც არსებული პარტიებიდან არც ერთი მოგწონს. ასეთი დამოკიდებულება – რა მნიშვნელობა აქვს, მაინც არაფერი შეიცვლება! და ა.შ. მიზეზთა ბევრი ჩამონათვალი შეიძლება გაკეთდეს.

არიან პარტიები, რომლებსაც აწყობთ ამომრჩეველში არსებული ნიჰილისტური განწყობები. ამ დროს ისინი ამ საერთო ნიჰილიზმის ფონზე საკუთარი ამომრჩევლის მობილიზებას ბევრად უფრო კარგად ახდენენ. ამ კონკრეტულ შემთხვევაში სწორედ ასეც მიდის სცენარის განვითარება.

***– რას გულისხმობთ?***

– მთელი ოპოზიცია ზრუნავს, ამომრჩეველი დაარწმუნოს არა იმაში, რომ თავად კარგია, არამედ, რომ „ქართული ოცნება“ არ ვარგა. მათ უფრო აწყობთ შექმნან განწყობა, არავინ არ ვარგა!

***– და ეს რას მოუტანთ?***

– მასობრივი ნიჰილიზმის დროს ამომრჩეველი სახლში დარჩება და მივიღებთ დაახლოებით იმ სურათს, რომელიც იყო საპრეზიდენტო არჩევნების პირველ ტურში, როდესაც შედეგები ლამის გათანაბრდა.

***– თქვენ ამბობთ, რომ ბევრად უფრო რთულია, დაარწმუნო ამომრჩეველი, რომ მე ვარ ალტერნატივა, რომ მე კარგი ვარ?***

– დიახ, სწორედ ასეა! ეს ბევრად უფრო რთული ამოცანაა, ამიტომ ოპოზიცია უფრო მარტივი გზით მიდის.

***– ამ არჩევნების შედეგების პროგნოზირება ბევრად უფრო რთულია თუ ფიქრობთ, პირიქით, ყველაფერი გარკვეულია?***

– ასეთი პროგნოზირებადი არჩევნები დიდი ხანია, არ ყოფილა.

***– მიუხედავად თითქმის პროპორციული არჩევნებისა?***

– დიახ, მიუხედავად ახალი საარჩევნო სისტემისა. თუ მთელ პოლიტიკურ პროცესს გავაანალიზებთ, ვნახავთ, რომ დღემდე ხელისუფლება მიდის გეგმაზომიერად, რათა ეს არჩევნები მოიგოს, ოპოზიცია კი შეცდომას შეცდომაზე უშვებს.

***– თითო მაგალითი შეცდომისა და სწორი ნაბიჯების.***

– ხელისუფლებამ იმ ეტაპზე კოვიდთან ბრძოლაში გარკვეულ წარმატებას მიაღწია, თვალშისაცემი შეცდომა არ დაუშვია, ასევე, გამოკვეთა მკაფიო ლიდერი და ეს დღეს გახარიაა. ოპოზიციას კოვიდთან დაკავშირებით არანაირი აქტივობა არ გამოუჩენია ხალხთან მიმართებით, ასევე, მან ლიდერი ვერ გამოკვეთა. ბევრი წინააღმდეგობრივი ნაბიჯი გადადგა, ხან ერთიანდებოდნენ და ხან ერთმანეთს უპირისპირდებოდნენ. რაც მთავარია, ოპოზიციას სააკაშვილიც დაეხმარა თავისი განცხადებებით, რომ უფრო აჭრილიყო. ამ კონტრასტულ ფონზე „ქართული ოცნება“ უფრო დამაჯერებლად გამოიყურება.

***– ოპოზიცია თავის მონაპოვრად თვლის თითქმის პროპორციულ საარჩევნო სისტემასა და კოალიციური მმართველობის შესაძლებლობას. გამორიცხავთ კოალიციურ მთავრობას?***

– დიახ, მაგრამ პარლამენტში პროპორციული სისტემის კენჭისყრაში მონაწილეობა არ მიიღეს. რაც შეეხება კოალიციურ მთავრობას, მას ის პარტია აკომპლექტებს, რომელიც წამყვან ადგილზე იქნება ხმების რაოდენობით. დაუშვათ, ოპოზიცია იგებს არჩევნებს, ხმების რაოდენობით წამყვან ადგილზე ნაციონალური მოძრაობა იქნება. ასე ჩანს სოციოლოგიური კვლევებით. ამ შემთხვევაში მთავრობის დაკომპლექტების უპირატესობა ექნება ნაციონალურ მოძრაობას და არა სხვა რომელიმე პარტიას. ამიტომ ეს უფრო მანევრი მგონია, ვიდრე რეალური სურვილი, რომ კოალიციურად და ურთიერთდაბალანსებულად მართონ ქვეყანა. ეს ამომრჩევლის კიდევ ერთხელ მოტყუება იქნება.

***– ბატონო რამაზ, ბევრ მაჟორიტარულ ოლქში იქნება მეორე ტური და რა იქნება ამ შემთხვევაში გადამწყვეტი?***

– რა თქმა უნდა, ბევრგან იქნება მეორე ტური და ეს სრულიად ბუნებრივია, არჩევნების თანმდევია. ბევრ რეგიონში, ბევრ ოლქში უკვე სახეზეა ძალთა ისეთი გადანაწილება, რომელიც მეორე ტურის აუცილებლობას ნამდვილად გააჩენს.

# „ხელისუფლებამ ვალად აღებული მილიონები საკუთარ ბიზნესში „გადააკატავა“

დასაწყისი მე-2 გვერდზე

ხორბლის იმპორტიორებს მისცეს. რატომ, რისთვის? გაიაფდა პური და ფქვილი?! ამით იზარალეს?! პირიქით, ფასები იზრდება. იცით, ვინ არის ხორბლის ექსპორტიორი ამ ქვეყანაში?! ვის შემოაქვს ხორბალი?!

***– ვის?***

– უჩა მამაცაშვილსა და ფარცხალაძეს! აი, ესენი არიან დღეს რუსეთიდან ხორბლის შემოტანის მთავარი მონოპოლისტები, ანუ ეს მილიარდები კვლავ გადაიტანეს საკუთარ ანგარიშებზე, საკუთარ ბიზნესსა და ობშორებში. ხალხი კი სულს ღაფავს, ლარი, ვხედავთ, როგორ გაექცათ, ხალხი დამშეულია და ამ ყველაფრის შედეგი ის არის, რომ გვექნება უმძიმესი გვიანი შემოდგომა და ზამთარი! ლარის გაკონტროლებას ვეღარ შეძლებენ! ყოველდღიურად ვუყურებთ, როგორ იმატებს ფასები პროდუქტებსა და მედიკამენტებზე. წინ გვიდევს გაეროს კვლევები, გვეუბნებიან, რომ ყოველი მეხუთე ბავშვი შიმშილობს. მილიონამდე ადამიანი სიღატაკეში ცხოვრობს. ამ ადამიანებისთვის მთლიანად მიუწვდომელია ჯანდაცვა და განათლება. ეს ჩვენი მოსახლეობის ერთი მესამედია! კატასტროფის პირასაა ხალხი მისული.

***– ამ პრობლემებთან ერთად, ქვეყანაში საკმაოდ იმატა კრიმინალმა, ბოლო პერიოდში გახშირდა ანგარიშსწორება ოპოზიციური პარტიების აქტივისტებზე. ხელისუფლების მომხრეები კი აცხადებენ, რომ ეს არის მიზანმიმართული პროვოკაციები სიტუაციის გასამწვავებლად. რას იტყვით თქვენ, იმატა ქვეყანაში კრიმინალმა?***

– გავითვალისწინოთ, რომ კრიმინალთან ხელშეკრულების აქტი აქვს დადებული ამ ხელისუფლებას. თავადაც კრიმინალური ხასიათისაა ეს ხელისუფლება და თანამშრომლობენ ზონდერკრიმინალებთან, რომლებიც წარმოადგენენ საარჩევნო პერიოდში მათ აგიტატორებს, მათ ზონდერჯგუფებს და იყენებენ მათ პოლიტიკური მოწინააღმდეგეების წინააღმდეგ. ამავე დროს, კრიმინალს გააჩნია საკუთარი დღის წესრიგი, უნდა მოიპაროს, უნდა მოკლას, გაძარცვოს, დააყაჩაღოს და, ბუნებრივია, რადგან ისინი ხელშეუხებლობით სარგებლობენ და დღევანდელი ხელისუფლების მოკავშირეები არიან, რა გასაკვირია, რომ ქვეყანაში კრიმინალმა მოიმატა. ეს ხელისუფლება არის დაყრდნობილი მთლიანად კრიმინალზე და ამის ფაქტები არსებობს.

***– რა ფაქტები?***

– ეს არ არის ჩვენი სუბიექტური განცდა. ხომ ყველამ ნახა, როგორ იყვნენ ეს ე.წ. კრიმინალები და ქუჩის ბიჭები განლაგებული საარჩევნო უბნებზე და როგორ ახდენდნენ ზეწოლასა და გავლენას ჩვენს მოქალაქეებზე. ეს ზონდერები და კრიმინალები დღესაც ჩართული არიან ამ პროცესში. თუნდაც გუშინ ჩვენმა ახალგაზრდულმა ფრთამ ჩამოხსნა „ოცნების“ დროშები, რომლებიც განათავსეს ბიუჯეტით, ანუ ხალხის ფულით გაკეთებულ სკვერზე, რისი უფლებაც არ გააჩნიათ. ჩვენი ახალგაზრდული ფრთა „ოცნების“ დროშის ნაცვლად საქართველოს დროშას ამაგრებდა და მაშინვე გამოჩნდნენ ზონდერჯგუფები, რომლებიც მიუსიეს ჩვენს ახალგაზრდებს და ანგარიშსწორება მოახდინეს. პოლიციამ, ნაცვლად იმისა, რომ ზონდერები დაეკავებინა, პირიქით, სისხლის სამართლის საქმე აღძრა ახალგაზრდული ფრთის წარმომადგენლების წინააღმდეგ სხვისი ნივთის დაზიანების მოტივით. საერთოდ არ კითხულობენ იმას, რომ ქუჩასა და უბანს აკონტროლებენ ე.წ. ძველი ბიჭები და კრიმინალები. აი, ეს სიტუაციაა, ბოლოლა კრიმინალები მფარველობენ ქუჩის კრიმინალებს, ერთობლივად იბრძვიან ხალხისა და ჩვენი სახელმწიფოს წინააღმდეგ. ეს ყველაფერი 31 ოქტომბერს უნდა დასრულდეს და ხალხმა უნდა საბოლოოდ გამოუტანოს განაჩენი ამ ხელისუფლებას.

# „14 წლის ბიჭი 9 წლის ბიჭზე სექსუალურად ძალადობდა, რისთვისაც ბ.ქ.-მ მას ყური მოაჭრა“

## რა მოხდა კახეთში

შინაგან საქმეთა სამინისტროს კახეთის პოლიციის დეპარტამენტის თანამშრომლებმა საგარეჯოს მუნიციპალიტეტში გარყვნილი ქმედების ბრალდებით არასრულწლოვანი, ხოლო მასზე ძალადობის და ჯანმრთელობის დაზიანების ბრალდებით ერთი პირი, 1989 წელს დაბადებულ ბ.ქ. დააკავეს.

გამოძიებით დადგინდა, რომ საგარეჯოს მუნიციპალიტეტის ერთ-ერთ სოფელში ბრალდებულმა არასრულწლოვანმა სამი არასრულწლოვნის მიმართ გარყვნილი ქმედება ჩაიდინა, რის შემდეგაც მას ძალადობისთვის ბრალდებულმა პირმა ფიზიკური შეურაცხყოფის შემდეგ ყურის არეში დაზიანებები მიაყენა.

„პოლიციამ დანაშაულის იარაღი – დანა ნივთმტკიცებად ამოიღო. დანიშნულია შესაბამისი ექსპერტიზები, მიმდინარეობს მოწმეთა გამოკითხვები. შინაგან საქმეთა სამინისტრო მომხდარ ფაქტზე გამოძიებას სისხლის სამართლის კოდექსის 137-ე, 126-ე და 117-ე მუხლებით აწარმოებს“, – აღნიშნულია შსს-ის მიერ გავრცელებულ ინფორმაციაში.

„ამბები“ დაზარალებული ბავშვის მეზობელს ესაუბრა:

– მოძალადის ოჯახს სოფელი კარგად არც იცნობს, კახეთის სხვა სოფლიდან არიან ჩამოსახლებულები. ერთი უბირი ხალხია, არავისთან კონტაქტობენ და მათზე ბევრი არც არაფერი ვიცით. მოძალადე 14 წლისაა, სკოლის მოსწავლეა და, მის გარდა, მშობლებს კიდევ ორი შვილი ჰყავთ.



ეს ბიჭი თურმე დაახლოებით ერთი წელია, რაც 9 წლის ბიჭზე სექსუალურად ძალადობდა და ბავშვს აშინებდა, ვინმეს თუ ეტყვი, მოგკლავო. ამ პატარა ბიჭის მეგობრებს, 8-9 წლის ძმებს დაუნახავთ, როგორ უპირებდა მორიგ ძალადობას მოზარდს და მიხმარებიან, მისი ცემა დაუწყიათ. ის უფროსი იყო და, რა თქმა უნდა, მოერია მათ. ამ ცემა-ტყეპის მერე ეს ბავშვები, ძმები გაქცეულან და მამისთვის მოუყოლიათ, ასეთი ამბავი ხდება, უფროსკლასელი ჩვენს მეგობარზე ძალადობს, დავეხმარეთ და ჩვენც გვცემაო.

ბავშვების მამა მისულა სკოლაში, გამოუყვანია ეს 14 წლის ბიჭი, უცემია და ყური გაუჭრია, ეტყობა, შეაშინა. როცა მოძალადე ბიჭი სახლში მისულა და მამას ჭრილობა უნახავს, პირდაპირ გავარდნილა პოლიციაში და უჩივლია – ჩემი შვილი ცემეს და ყურს აჭრიდნენო. მამამ არ იცოდა, რას ჩადიოდა მისი შვილი, თორემ, შეიძლება, არც წასულიყო პოლიციაში.

პოლიციამ ორივე დააკავა, მოძალადეც და ბავშვების მამაც, რომელიც მას გაუსწორდა. ისეთი სიტუაცია შეიქნა, სხვა გზა არ ჰქონდა და ბიჭმა აღიარა დანაშაული. ახლა შსს-სა და განათლების სამინისტროს წარმომადგენლები არიან ჩამოსულები. მთელი სოფელი დაკავებული მამის გათავისუფლებას ვითხოვთ, თავდებად დავუდგებით, ვინაიდან არ არის დამნაშავე, მან გამოააშკარავა ეს საშინელება. ყველას დაგვყავს შვილები სკოლაში და, ის რომ არა, ვინ იცის, რამდენ ბავშვს გააუბედურებდა ის ავადმყოფი, ეგ ოჯახი კი უნდა წავიდეს ჩვენი სოფლიდან.

# კასპში 1 მამაკაცი მოკლეს, 1 დაჭრეს



კასპში ერთი მამაკაცი მოკლეს, ერთი კი დაჭრეს.

არსებული ინფორმაციით, მოკლული ქარელის მუნიციპალიტეტში მცხოვრები 38 წლის მამაკაცია, რომელიც კასპში ხელოსანთან, მანქანის შესაღებად თანმხლებ პირთან ერთად იყო მისული.

გასროლა ხელოსნის სახლში განხორციელდა, რის შედეგადაც ერთი მამაკაცი დაიღუპა, ერთმა კი ცეცხლნასროლი დაზიანებები მიიღო.

დაჭრილი საავადმყოფოშია გადაყვანილი.

პოლიციამ კასპში განზრახ მკვლელობის ფაქტზე ერთი პირი დააკავა.

„შინაგან საქმეთა სამინისტროს შიდა ქართლის პოლიციის დეპარტამენტის თანამშრომლებმა, ჩატარებული ოპერატიულ-სამძებრო და საგამოძიებო მოქმედებების შედეგად, 1958 წელს დაბადებული მ.კ. განზრახ მკვლელობის, ჯანმრთელობის განზრახ ნაკლებად მძიმე დაზიანებისა და ცეცხლსასროლი იარაღის უკანონო შეძენა-შენახვის ბრალდებით, კასპში, ცხელ კვალზე დააკავეს.

დანაშაული 7-დან 15 წლამდე ვადით თავისუფლების აღკვეთას ითვალისწინებს.

გამოძიებით დადგინდა, რომ ბრალდებულმა საკუთარ საცხოვრებელ სახლში, ურთიერთშელაპარაკების ნიადაგზე, ცეცხლსასროლი იარაღიდან გასროლით სასიკვდილოდ დაჭრა 1978 წელს დაბადებული დ.ბ., რომელიც ადგილზე გარდაიცვალა, ხოლო 1949 წელს დაბადებულ გ.ნ.-ს სხეულზე დაზიანება მიაყენა. დაშავებული გ.ნ. სამედიცინო დაწესებულებაშია გადაყვანილი და მის სიცოცხლეს საფრთხე არ ემუქრება.

სამართალდამცველებმა დანაშაულის ჩადენის იარაღი ნივთმტკიცების სახით ამოიღეს. ბრალდებული დანაშაულს აღიარებს.

გამოძიება საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 108-ე მუხლით, 118-ე მუხლის 1-ლი ნაწილითა და 236-ე მუხლის მე-3 ნაწილით მიმდინარეობს, რაც განზრახ მკვლელობას, ჯანმრთელობის განზრახ ნაკლებად მძიმე დაზიანებასა და ცეცხლსასროლი იარაღის მართლსაწინააღმდეგო შეძენა-შენახვას გულისხმობს“, – ნათქვამია შსს-ს მიერ გავრცელებულ ინფორმაციაში.

# „ბუხუტი წოწოლაშვილი მენეჯერს ემუქრებოდა, მან კი ესროლა“

## მკვლელობა ხაშურში

ხაშურში 18 სექტემბერს მკვლელობა მოხდა. 39 წლის მამაკაცი სასიკვდილოდ ყოფილმა უფროსმა დაჭრა.

შემთხვევა სამშენებლო მასალების მწარმოებელ კომპანია „ელიში“ მოხდა, სადაც ბუხუტი წოწოლაშვილი რამდენიმე თვის განმავლობაში მუშაობდა და იქ კუთვნილი თანხის ასაღებად მივიდა.

არსებული ინფორმაციით, ის ყოფილ უფროსს, კომპანიის მენეჯერს დანით ემუქრებოდა, რის შემდეგაც მენეჯერმა საპასუხოდ იარაღიდან ესროლა. წოწოლაშვილი ფეხის არეში დაიჭრა, გადაეჭრა არტერია და საავადმყოფოში გადაყვანის დროს სისხლდენისგან გარდაიცვალა.

– როგორც ამბობენ, ფულის გულისთვის მოკლეს ადამიანი. თუმცა ამბობენ, იმ პიროვნებამ, ვინც ისროლა, თავდაცვის მიზნით ისროლაო...“ – ამბობენ „ტვ პირველთან“ საუბრისას ადგილობრივები.

პოლიციამ მაღაზიის მენეჯერი უკვე დააკავა. შინაგან საქმეთა სამინისტროს ინფორმაციით, გამოძიება სისხლის სამართლის კოდექსის 117-ე და 236-ე მუხლებით მიმდინარეობს, რაც ჯანმრთელობის განზრახ მძიმე დაზიანებასა და ცეცხლსასროლი იარაღის მართლსაწინააღმდეგო შეძენა, შენახვა, ტარებას ითვალისწინებს.

# „ლიბერთი ბანკი თაღლითია. 50.000 გადავიხადეთ, მაგრამ ოქროს არ აბრუნებს“

19 სექტემბერს ოზურგეთში ლიბერთი ბანკის ფილიალთან ხმაური იყო. მოქალაქეები ბანკს თაღლითობაში ადანაშაულებენ. მათი განცხადებით, რამდენიმე დღეა, დაფარეს სალომბარდე დავალიანება 50.000 ლარის ოდენობით, დაწესებულება კი ბანკის სალომბარდე განყოფილებაში შეტანილ ოქროს უკან არ უბრუნებს.

მათი თქმით, ბანკმა შეტანილი თანხა 50 ათასი ლარიც დაიტოვა და ოქროც. ადგილზე დახმარებისათვის საპატრულო პოლიციაც გამოიძახეს.

ცნობისათვის, რამდენიმე თვის წინ ლიბერთი ბანკი „ოქროს სკანდალში“ გაეხვია. ბანკიდან ძვირფასეულობის სანაცვლოდ 12 მილიონი ლარია გატანილი. აუდიტმა კი აღმოაჩინა, რომ ლიბერთის საცავებში ძვირფასეულობის ნაცვლად იაფფასიანი ბიჟუტერია იყო განთავსებული.

შინაგან საქმეთა სამინისტრომ მომხდარზე გამოძიება დაიწყო, რომელიც ამ დრომდე გრძელდება. საქმესთან დაკავშირებით რამდენიმე ადამიანი წინასწარ პატიმრობაში რჩება, მათ შორის არიან ბანკის თანამშრომლებიც.

# 14 წლის რატი ასლამაზიშვილმა თავი მოიკლა

## ის 129-ე სკოლის მოსწავლე იყო

14 წლის რატი ასლამაზიშვილმა 18 სექტემბერს, საღამოს, სიცოცხლე თვითმკვლელობით დაასრულა. სუიციდის მიზეზი, სავარაუდოდ, მძიმე სოციალური მდგომარეობაა. ასლამაზიშვილების ოჯახმა საცხოვრებელი სამი დღის წინ შეიცვალა, მოზარდს ცხოვრება უკიდურეს გაჭირვებაში უწევდა.

„მთავარის“ ცნობით, მოზარდი 129-ე სკოლის მოსწავლე იყო. დამრიგებელი ამბობს, რომ ის ჩაკეტილი ბავშვი არ ყოფილა და თანაკლასელებთანაც კარგი ურთიერთობა ჰქონდა. ერთადერთი, რასაც თამარ ცალუღელაშვილი არ უარყოფს, მისი ონლაინ გაკვეთილებზე ცუდი მოსწრებაა. დისტანციურ სწავლებაზე გადასვლამ მოზარდს განათლების მიღების პრობლემა შეუქმნა რადგან მძიმე სოციალური მდგომარეობისა და ინტერნეტთან წვდომის არქონის გამო, ის ხშირ შემთხვევაში ონლაინ გაკვეთილებს ვერ ესწრებოდა.

სოციალური მდგომარეობა და ამ ფონზე სკოლაში ჩამორჩენა გახდა სავარაუდოდ კიდევ ერთი მოზარდის მხრიდან სუიციდის მცდელობის მიზეზი.

შემთხვევა კასპის მუნიციპალიტეტში მოხდა. ადგილობრივების ინფორმაციით, არასრულწლოვანმა თვითმკვლელობა მას შემდეგ ცადა, რაც გაიგო, რომ ონლაინ გაკვეთილებზე ცუდის მოსწრების გამო დირექტორმა კლასში ჩატოვა.

# ვახტანგ გომელაური მრავალეროვნული სწავლების – „ღირსეული პარტნიორი 2020“-ის დახურვას დაესწრო

შინაგან საქმეთა მინისტრი ვახტანგ გომელაური მრავალეროვნული სწავლების – „ღირსეული პარტნიორი 2020“-ის დახურვას დაესწრო. ვაზიანის სამხედრო პოლიგონზე საჩვენებელი სწავლება და დახურვის ცერემონია გაიმართა.




ღონისძიებას საქართველოს პრეზიდენტი სალომე ზურაბიშვილი, პარლამენტის თავმჯდომარე არჩილ თალაკვაძე, თავდაცვის მინისტრი ირაკლი ღარიბაშვილი, სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის უფროსი გრიგოლ ლილუაშვილი, ამერიკის შეერთებული შტატების ელჩი კელი დეგნანი, საქართველოში აკრედიტებული დიპლომატიური კორპუსის, აღმასრულებელი და საკანონმდებლო ხელისუფლების წარმომადგენლები დაესწრნენ.

საქართველომ საერთაშორისო სწავლება „ღირსეულ პარტნიორს“ უკვე მეხუთედ უმასპინძლა. იგი მიზნად ისახავდა საქართველოს, აშშ-სა და პარტნიორ ქვეყნებს შორის მზადყოფნისა და თავსებადობის გაუმჯობესებას, შავი ზღვის რეგიონში სტაბილური და უსაფრთხო გარემოს შენარჩუნებაში წვლილის შეტანას. სწორედ ამიტომ წლევანდელი სწავლების მთავარი გზავნილი იყო „ძალა პარტნიორობაშია“.

საქართველო-ამერიკის შეერთებული შტატების ერთობლივი მრავალეროვნული სწავლება „ღირსეული პარტნიორი 2020“ 7-18 სექტემბრის ჩათვლით ვაზიანის სამხედრო აეროდრომზე, ვაზიანის პოლიგონსა და ნორიოს საწვრთნელ ბაზაზე გაიმართა.

სწავლების ამოცანა იყო საქართველოს, აშშ-სა და პარტნიორ ქვეყნებს შორის მზადყოფნისა და თავსებადობის გაუმჯობესება, შავი ზღვის რეგიონში სტაბილური და უსაფრთხო გარემოს შენარჩუნებაში წვლილის შეტანა.

მრავალეროვნულ წვრთნაში საქართველოს, აშშ-ის, გაერთიანებული სამეფოს, პოლონეთისა და საფრანგეთის 2700-ზე მეტმა სამხედრო მოსამსახურემ მიიღო მონაწილეობა.

# ავარია ხაშური-გორის მონაკვეთზე

## 1 ადამიანი დაიღუპა, 10 დაშავდა

19 სექტემბერს ხაშური-გორის მონაკვეთზე სამგზავრო მიკროავტობუსი გზის სავალი ნაწილიდან გადავიდა და ამობრუნდა. შემთხვევის შედეგად 1 ადამიანი დაიღუპა, 10-მდე მგზავრმა კი სხეულის სხვადასხვა სიმძიმის დაზიანება მიიღო.

მიკროავტობუსი საჩხერიდან თბილისის მიმართულებით მოძრაობდა.

სასწრაფო დახმარების ჯგუფებმა დაშავებულები გორის, ქარელის და ხაშურის საავადმყოფოებში გადაიყვანეს. ყველაზე მძიმეა შუახნის ქალის ჯანმრთელობის მდგომარეობა, რომელიც ქარელის საავადმყოფოს რეანიმაციულ განყოფილებაშია მოთავსებული. ექიმების განცხადებით, საშუალო სიმძიმისაა ამავე კლინიკაში შეყვანილი ორი ახალგაზრდა მამაკაცის მდგომარეობა. საშუალო სიმძიმისაა ასევე გორში, კლინიკა „გორმედში“ მოთავსებული 4 პაციენტის ჯანმრთელობის მდგომარეობა.

შემთხვევის ადგილზე სამართალდამცავები მუშაობდნენ.

# იოსებიძეზე ლაშა ცუცქირიძე ცემეს

იოსებიძის ქუჩაზე სამოქალაქო აქტივისტ ლაშა ცუცქირიძეს 2 უცნობი პირი თავს დაესხა. როგორც ლაშა ცუცქირიძის მეუღლე ლინა დოლიძემ განაცხადა, თავდამსხმელებს სახე დაფარული ჰქონდათ და მანქანიდან გადმოსვლისთანავე იერიშზე გადმოვიდნენ.

– ჩვენ როგორც კი გადმოვედით მანქანიდან, დავინახე ორი პიროვნება, მათ ეკეთათ პირბადეები, ეხურათ ქუდები და სახე ჰქონდა სრულად დაფარული. როგორც კი დაგვინახეს, რომ გადმოვედით მანქანიდან, ჩემს მეუღლეს დაუწყეს ცემა. ეს რა თქმა უნდა, პოლიტიკური ანგარიშსწორებისთვის მოგზავნილები არიან. როგორც თვითმხილველებმა გვითხრეს, ეს ადამიანები აქ 5 დღეა დგანან და გველოდებიან, – განაცხადა ლინა დოლიძემ.

# შსს-მ იმერეთში ნარკორეალიზატორი დააკავა

შინაგან საქმეთა სამინისტროს იმერეთის, რაჭა-ლეჩხუმისა და ქვემო სვანეთის პოლიციის დეპარტამენტის დეტექტივების სამმართველოს, ჭიათურის რაიონული სამმართველოსა და განსაკუთრებულ დავალებათა დეპარტამენტის იმერეთის სამხარეო განსაკუთრებულ დავალებათა სამმართველოს თანამშრომლებმა, ერთობლივად ჩატარებული სპეციალური ოპერატიული ღონისძიების შედეგად, 1969 წელს დაბადებული, წარსულში ნარკოდანაშაულისთვის ნასამართლევი ზ.გ. მოსამართლის განჩინების საფუძველზე, ჭიათურაში დააკავეს.

მას ბრალად ნარკოტიკული საშუალების უკანონო შეძენა-შენახვა და გასაღება ედება.

დანაშაული 6-დან 11 წლამდე ვადით თავისუფლების აღკვეთას ითვალისწინებს.

გამოძიებით დადგინდა, რომ დაკავებული ნარკოტიკულ საშუალებებს სისტემატურად ყიდდა.

სამართალდამცველებმა, მოსამართლის განჩინების საფუძველზე, რამდენიმეჯერ განახორციელეს ბრალდებულისგან ნარკოტიკული საშუალების საკონტროლო შესყიდვა და აღნიშნული შესყიდვების ფარული აუდიო-ვიდეოჩაწერა.

პოლიციამ ზ.გ.-ს მიერ საკონტროლო შესყიდვების დროს გაყიდული, „ბუპრენორფინის“ შემცველი ნარკოტიკული საშუალება „სუბოქსინის“ 2 აბი, ამავე ნარკოტიკის 2 აბის ნატეხები და ფხვნილი ნივთმტკიცებად ამოიღო.

ნარკოტიკული საშუალების უკანონო შეძენა-შენახვისა და გასაღების ფაქტზე გამოძიება საქართველოს სსკ-ის 260-ე მუხლის პირველი და მეოთხე ნაწილებით მიმდინარეობს.

# ღია წერილი

მე ვეკითხები ბიძინა ივანიშვილს, ამ ქვეყანას პატრონი ჰყავს? თუ ჰყავს, უპატრონეთ. საბჭოს მოედანზე არის ლიბერთბანდიტებისა და ქურდების ბანკი. ავტომატმა ორჯერ ოც-ოცი ლარი გადამიყლაპა. მივედი მენეჯერთან და ვუთხარი, ავტომატმა ორმოცი ლარი გადამიყლაპა-მეთქი. დაიწყო კომპიუტერში ბოდიალი, გავარკვევთ და დაგირეკავთო. გამომართვა მობილურის ნომერი. გავიდა ერთი თვე, მივაკითხე და მითხრა, 16 სექტემბრის შემდეგ მიაკითხე ჭავჭავაძის ქუჩაზე მდებარე ლიბერთი ბანკს და იქ აგიხსნიანო. ასახსნელი რა არის, თქვე ქურდებო და ბანდიტებო. მივაკითხე ჭავჭავაძეზე ლიბერთი ბანკს. იქ ამაზე უარესები დამხვდნენ, დაწერე განცხადება, მოვილაპარაკებთ და გავარკვევთო. მივედი ერთი კვირის შემდეგ და ისე ამიშალეს ნერვები, კინაღამ მანქანამ გამიტანა.

კაცი მოთმინებიდან გამომიყვანეს, დამაგლიჯეს ნერვები. ამის მერე შეიძლება, ამ ქვეყანას ქვეყანა ეწოდოს?! ხალხი გამწარებული გყავთ, გადასულები ხართ ფულის კეთებაზე. ლავრენტი ბერია გინდათ, ისე არაფერი გეშველებათ. გადით ხალხში და, ასიდან ერთი თუ გეტყვით, რომ ეს მთავრობა კარგია.

ამას წინათ გამოვიდა არტისტი კიკნაძე და თქვა, გაოცებული ვარ ბიძინა ივანიშვილით, რაებს აკეთებსო. შე ბრუციანო, ხალხი ხელგაშვერილი რომ მათხოვრობს, არ ხარ გაოცებული? თუმცა, რატომ იქნები გაოცებული, ბიძინა ხომ გაფინანსებს, ჰა, კიკნაძე!

მე ვთხოვ მთავრობას, ლიბერთი ბანკში შეიყვანეთ აუდიტი და პროკურატურა და გაარკვიეთ მათი მუშაობის ხარისხი. ოპერატორები ჰყავთ უზრდელები. ბოლოს და ბოლოს, ქვეყანა ხომ უნდა დაემსგავსოს ქვეყანას. არავითარი კონტროლი, მიშვებულები არიან და მაგრად „გულაობენ“.

**84 წლის პენსიონერი ირაკლი დოლიძე**

საერთაშორისო

# „ვერ ვცნობდი ხალხს და არ ვიცოდი, როგორ მელაპარაკა“



## ნოვიჩოკის შემქმნელმა ნავალნის ბოდიში მოუხადა

ალექსეი ნავალნის გამოჯანმრთელების პროცესი რთულად მიმდინარეობს. ამის შესახებ მან 19 სექტემბერს ინსტაგრამში დაწერა:

„სულ ცოტა ხნის წინ მე ვერ ვცნობდი ხალხს და ვერ ვხვდებოდი, როგორ უნდა მელაპარაკა. ყოველ დილას ჩემთან შემოდიოდა ექიმი და მეუბნებოდა: „ალექსეი, მოვიტანე დაფა და მოდი, მოვიფიქროთ, რა სიტყვა დავწეროთ მასზე“. ეს სასოწარკვეთაში მაგდებდა, რადგან, მიუხედავად იმისა, რომ ვხვდებოდი, რა სურდა ექიმს, არ მესმოდა, საიდან ამეღო სიტყვა, თავის რომელ ნაწილში იქმნება ის. სად ვიპოვო სიტყვა და როგორ გავაკეთო, რომ მან რამე გამოხატოს?

ეს ყველაფერი იყო სრულიად გაუგებარი, თუმცა, როგორ გამომეხატა ჩემი სასოწარკვეთა, ესეც არ ვიცოდი და ამიტომ, უბრალოდ, ვდუმდი.

ახლა მე ვარ კაცი, რომელსაც კიბეზე ასვლისას უკანკალებს მუხლები, სამაგიეროდ, ის ფიქრობს: „ო, ეს ხომ კიბეა! მასზე ასვლა შეიძლება, მგონი, ლიფტი უნდა მოვძებნო“. ადრე კი, უბრალოდ, შტერივით ვიდგებოდი.

ასე რომ, კიდევ ბევრი პრობლემაა გადასაწყვეტი, მაგრამ ბერლინის კლინიკა შარიტეს საოცარმა ექიმებმა გადაწყვიტეს მთავარი პრობლემა – „ტექნიკურად ცოცხალი ადამიანისგან“ მათ გადამაქციეს პიროვნებად, რომელსაც კვლავ აქვს თანამედროვე საზოგადოების უმაღლესი ფორმის არსებად გახდომის შანსი, იმ ადამიანად, რომელსაც შეუძლია, სწრაფად გადაფურცლოს ინსტაგრამი და დაუფიქრებლად ხვდებოდეს, სად დასვას ლაიკები“.

ნოვიჩოკის შემქმნელმა ვილ მირზაიანოვმა ნავალნის ბოდიში მოუხადა.

– უაღრესად დიდ ბოდიშს ვუხდი ალექსეი ნავალნის იმისთვის, რომ ვმონაწილეობდი ამ დანაშაულებრივ ბიზნესში – ამ ნივთიერების შემუშავებაში, რომლითაც ის მოიწამლა, – განაცხადა მეცნიერმა ქიმიკოსმა რუსულ ტელეკომპანია „დოჟდის“ ეთერში.

მირზაიანოვმა, რომელიც 1995 წლიდან აშშ-ში ცხოვრობს, განაცხადა, რომ მთელი თავისი შემდგომი ცხოვრება საბრძოლო შხამის წინააღმდეგ ბრძოლას მოანდომა.

მისი თქმით, 1993 წელს შეხვდა ადამიანს, რომელიც ნოვიჩოკით მოიწამლა და მისი სიმპტომები ჰგავდა იმავეს, რაც ნავალნიმ თავის ინსტაგრამპოსტში 19 სექტემბერს აღწერა.

მეცნიერის განცხადებით, ნავალნი მოთმინებით უნდა აღიჭურვოს, რადგან მის გამოჯანმრთელებას ერთი წელი დასჭირდება.

# ტრამპი: „რუსებმა სარაკეტო ტექნოლოგია მოგვპარეს!“



აშშ-ის პრეზიდენტი დონალდ ტრამპი მინესოტის შტატში ჩავიდა და მომხრეებს შეხვდა. წინასაარჩევნო მიტინგზე გამოსვლისას მან განაცხადა, რომ ბარაქ ობამას დროს აშშ-ში რუსეთის დაზვერვა თავს ლაღად გრძნობდა.

– რუსებმა სარაკეტო ტექნოლოგია მოგვპარეს. ჰიპერხმოვანი რაკეტაც ამის საფუძველზე შექმნეს! – თქვა ტრამპმა.

ამავე დროს, პრეზიდენტმა დაამატა, რომ ამერიკას უფრო უკეთესი იარაღი გააჩნია. აშშ-ის შეიარაღებული ძალებიც ბევრად ძლიერია, ვიდრე რუსული ან ჩინური.

– ამერიკაც მსოფლიო ლიდერის პოზიციებს ინარჩუნებს, – თქვა ტრამპმა.

# ბრიტანეთის ჯანდაცვის მინისტრი: „საყოველთაო კარანტინი, შეიძლება, ისევ დაგვჭირდეს“



ბრიტანეთის ჯანდაცვის მინისტრმა მეთ ჰენკოკმა განაცხადა, რომ შესაძლოა, კორონავირუსის გავრცელების თავიდან ასაცილებლად საყოველთაო კარანტინი კვლავ განხორციელდეს, მაგრამ აღნიშნა, რომ ამას არ ისურვებდა.

მისი თქმით, ზომების მისაღებად ქვეყანა მზად უნდა იყოს.

– თუ ყველა დაიცავს წესებს, შეგვიძლია, თავიდან ავიცილოთ ლოქდაუნი, მაგრამ, რა თქმა უნდა, მზად უნდა ვიყოთ ზომების მისაღებად, თუ ეს საჭირო გახდება, – განუცხადა ჰენკოკმა ბიბისის და დასძინა, – მე არ გამოვრიცხავ, არ მინდა ამის დანახვა.

ბოლო პერიოდში დიდ ბრიტანეთში კორონავირუსით დაინფიცირების მაჩვენებელი საგრძნობლად გაიზარდა.

**მოამზადა ნიკა თევზაძემ**

სპორტი

# დინამომ უელსში წვალებით მოიგო

**ქონასი-დინამო (თბ) 0:1**

**რექსემი. რეისქურს გრაუნდი**

0:1 გაბედავა (90პ)

**ქონას ქი ნომედსი:** ბრასი, დევისი, დისნეი, ფარქუჰარსონი, რობერტსი, ედვარდსი, ოუენი, სინგლ-დოოლი, პული, ინსალი (ვილიამსი (87), ოუენსი

**დინამო:** კვასხვაძე, ქიმაძე, კობოური, ბენიო, იაშვილი, ქარდავა, პაპავა, ქავთარაძე (კლოოსტერი 90), ზარია (კაპანაძე 80), ორშულა (პერნამბუკო 59), გაბედავა



უეფას ევროპა ლიგის მეორე საკვალიფიკაციო რაუნდის შეხვედრა შედგა, რომელშიც ქონას ქი ნომედსმა დინამო თბილისს უმასპინძლა. ქართული ფეხბურთის ფლაგმანმა კორონავირუსით შესუსტებულ მეტოქესთან ბევრი იწვალა და გამარჯვების გოლი მხოლოდ მსაჯის მიერ კომპენსირებულ მეშვიდე წუთზე გაიტანა.

მეტოქეს პრობლემები რომ ჰქონდა, იმაზეც ეტყობა, რომ მხოლოდ ერთი შეცვლა გააკეთა. განაცხადში კიდევ 2 ფეხბურთელი ჰყავდა – აქედან ერთი მეკარე.

მატჩის დებიუტში მასპინძლებმა ორჯერ მიჯრით კუთხური მოაწოდეს, ამის შემდეგ კი დინამოელებმა სათამაშო უპირატესობა მოიპოვეს და მეთოდურად დაიწყეს მეტოქეზე შეტევა.

პირველი რეალური საგოლე მომენტი თბილისელებს მატჩის 24-ე წუთზე ჰქონდათ, გიორგი გაბედავასა და ნოდარ ქავთარაძის აქტიურობის შემდეგ ბაქარ ქარდავას დარტყმული ბურთი უელსელთა კარის ხარიხამ უკუაგდო.

ტაიმის ბოლოს უკვე დინამოელები გადარჩნენ გაშვებულ გოლს, უფრო სწორად, როინ კვასხვაძემ გადაარჩინა, რომელმაც შესანიშნავად ითამაშა.

მე-2 ტაიმი დინამოელებმა აქტიურად დაიწყეს, ერთი საათის თავზე კი ორშულას ნაცვლად მოედანზე პერნამბუკუ გამოჩნდა. მალევე ქავთარაძის შეტევა, რომელიც საჯარიმოში შეიჭრა, მაგრამ დარტყმას სიძლიერე დააკლდა და ბურთი ლუის ბრასის ნადავლი გახდა. 68-ე წუთზე ნომედსის მეკარემ უკვე სამუელ ბენიოს ძლიერად დარტყმული მოიგერია. მატჩის ძირითადი დროის ბოლოსკენ დინამოელები ბევრს უტევდნენ, მაგრამ საბოლოო ზუსტ დარტყმამდე საქმე არ მისულა. მსაჯმა შეხვედრას 7 წუთი დაამატა და ბოლო წუთზე მასპინძლები საჯარიმოში პერნამბუკუზე დაჯარიმდნენ. 11 მეტრიდან ზუსტად გიორგი გაბედავამ დაარტყა და დინამომ შეხვედრა მოიგო.

**მოამზადა მიხეილ ყორყოლიანმა**

კალეიდოსკოპი

## ზებრამ ნიანგისგან თავის დაღწევა შეძლო



ზებრამ წყლიდან ამოსვლა მანამდე მოასწრო, ვიდრე ნიანგი მას კბილებით ფეხში ჩააფრინდებოდა. ამის ამსახველი ვიდეო ერთ-ერთმა ინდურმა გამოცემამ გამოაქვეყნა.

ვიდეოჩანაწერში, რომელიც ტვიტერში გამოცემის გვერდზე გამოქვეყნდა, ჩანს, თუ როგორ აუჩქარებლად გამოდის ზებრა წყლიდან. როგორც კი ის ხმელეთზე აღმოჩნდება, ერთ წამში წყლიდან ხტება ნიანგი და ცდილობს, მის უკანა ფეხს პირი სტაცოს, თუმცა ბოლო წამს ჩლიქოსანი ცხოველი ამ თავდასხმისთვის თავის არიდებას ახერხებს.

საბოლოოდ რეპტილია ნადავლის გარეშე რჩება, ხოლო თუ სადაა გადაღებული აღნიშნული ვიდეო, უცნობია.

## 96 წლის მძღოლს ცოლთან ერთად გზა აებნა და 15 საათი წრეზე დადიოდნენ



ინგლისის ჩრდილოეთ იორკშირის საგრაფოს ქალაქ ნეისბორნის მკვიდრ პენსიონერ წყვილს 30-კილომეტრიანი მგზავრობის დროს გზა აებნა და 15 საათი წრეზე დადიოდნენ, სანამ ისინი საგზაო პოლიციამ არ გააჩერა.

13 სექტემბერს, ადგილობრივი დროით დაახლოებით 14:00 საათზე, 96 წლის მამაკაცი და მისი 90 წლის მეუღლე ავტომობილით გაემგზავრნენ კომპანიაში, რომელიც სახლებს ბორბლებზე ყიდის და რომელიც მათი სახლიდან 30 კილომეტრში მდებარეობს.

გზაში მათ შესახვევი შეეშალათ, მთელი ღამე წრეებზე დადიოდნენ და სახლში დასაბრუნებელი გზის პოვნას ცდილობდნენ. მეორე დღეს, დაახლოებით დილის ოთხ საათზე, საგზაო პოლიციის თანამშრომლებმა გზაზე მოძრავი ავტომობილი შენიშნეს, რომელიც საათში 40 კილომეტრი სიჩქარით გადაადგილდებოდა. მათ ივარაუდეს, რომ საჭესთან ნასვამი მძღოლი იჯდა და გამოეკიდნენ.

– ავტომობილი როკლიფის სამრეწველო ზონასთან გააჩერეს. როგორც ჩანს, ეს ყველაზე ნელი დევნა იყო მსოფლიოში, – განაცხადა საგზაო პოლიციის თანამშრომელმა.

სამართალდამცავი ორგანოების თანამშრომლებმა პენსიონერი წყვილი სახლში მიიყვანეს და მამაკაცს ურჩიეს, რომ საკუთარი უსაფრთხოებისთვის უარი თქვას ავტომობილის მართვაზე.

## გაცოფებულმა კამეჩმა ზებრა მოკლა



ინგლისის ვუსტერშირის საგრაფოს ქალაქ ბეუდლიში მდებარე საფარი-პარკში გაცოფებულმა გარეულმა კამეჩმა ზებრა შეშინებული დამთვალიერებლების თვალწინ მოკლა.

ნაკრძალის წარმომადგენლებმა აღნიშნეს, რომ წითელი კამეჩის ზებრაზე თავდასხმა 5 სექტემბერს მოხდა და ეს ტრაგიკული შემთხვევითობა იყო.

– ზედამხედველები ცხოველებს ერთდროულად აძლევდნენ საკვებს. მათ შორის დაიწყო ჩხუბი, რომლის დროსაც კამეჩმა ზებრა რქებზე წამოაგო. ვერავინ იჯერებდა ნანახს, – აღნიშნა პარკის თანამშრომელმა, – სამწუხაროდ, ზებრა დაიღუპა.

ნაკრძალის თანამშრომლები წარუმატებლად ცდილობდნენ ზებრას გადარჩენას. მას აუცილებელ სამედიცინო დახმარებას უწევდნენ. ამ ინციდენტის თვითმხილველები გახდნენ ტურისტები, როგორც მოზრდილები, ისე ბავშვები.

## ქალმა დაბადების დღეზე მილიონი დოლარი მოიგო




ამერიკის ვირჯინიის შტატის ქალაქ ფერფაქსის მცხოვრებმა ქალმა საკუთარ დაბადების დღეს ლატარიაში მილიონი დოლარი მოიგო.

კორონავირუსის პანდემიის დაწყებამდე ბუ სოკჰომმა ლატარიაში ორი ათასი დოლარი მოიგო. დაბადების დღეს ქალს მეუღლემ ჰკითხა, თუ რომელი ლატარიის ბილეთის მიღებას ისურვებდა და მან გადაწყვიტა, კიდევ ერთხელ ეცადა ბედი.

მან ქმარს სთხოვა, მისთვის 30-დოლარიანი ბილეთი შეეძინა. მეუღლის საჩუქარმა ქალს მილიონი დოლარი მოუტანა.

სოკჰომი თვლის, რომ ჯეკპოტი პოზიტიური აზროვნების წყალობით მოხსნა, ვინაიდან მოგების შესაძლებლობას არასდროს გამორიცხავდა. ის მოგებული თანხით ავტომობილის კრედიტის, კბილის ექიმის მომსახურების დაფარვასა და თავის ექვს შვილიშვილზე ზრუნვას გეგმავს.

## არწივისა და ხვლიკის ორთაბრძოლა ვიდეოზე გადაიღეს



სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკის კრიუგერის ეროვნულ პარკში ვიდეოზე აღბეჭდეს არწივისა და ვარანის სისხლიანი დაპირისპირება, რომელიც იუთუბიზე პარკის არხზე გამოქვეყნდა.

43 წლის გიდსა და ფოტოგრაფს როდნი ნომბეკანს ტურისტები ლომების პრაიდისა და ლეოპარდების სანახავად მიჰყავდა, როდესაც მისი ყურადღება არწივისა და ხვლიკის დაპირისპირებამ მიიპყრო.

– ეს ენით აუწერელი მოვლენა იყო. მსგავსი რამ მანამდე არასოდეს მენახა! – განაცხადა ნომბეკანმა, – ჩვენ მათ ორთაბრძოლას თითქმის ერთი საათი ვადევნებდით თვალს.

– ველური ბუნება სავსეა სიურპრიზებით, არასოდეს იცი, თუ სად გელოდება უნიკალური სცენა ცხოველთა სამყაროდან და მაშინაც კი, როდესაც ფიქრობ, რომ უკვე ყველაფერი გაქვს ნანახი, ხდება ისეთი რამ, რომელიც შენში მორიგ გაოცებას იწვევს, – აღიარა გიდმა და ფოტოგრაფმა.

**მოამზადა კახა ხატიაშვილმა**

საზოგადოება

# თბილისის წიგნის საერთაშორისო ფესტივალი ონლაინ ჩატარდება

კორონავირუსის გამო 25-27 სექტემბერს ექსპოჯორჯიაში დაგეგმილი ტრადიციული წიგნის საერთაშორისო ფესტივალი ვერ ჩატარდება. ფესტივალის ორგანიზატორებმა მისი ონლაინ გამართვა გადაწყვიტეს:

– ვიცით, როგორ გიყვართ ჩვენი ფესტივალი და როგორ მოუთმენლად ელით მასთან შეხვედრას! ჩვენთვისაც ყველაზე დიდი ბედნიერება ის არის, როდესაც ექსპოჯორჯიას პავილიონებში თავშეყრილ ერთგულ მკითხველებს, მონაწილეებს, უცხოელ სტუმრებსა და ფესტივალის მეგობრებს ვხედავთ!




თუმცა, არსებული ვითარებიდან გამომდინარე, ფესტივალის ორგანიზატორებმა, საფუძვლიანი განსჯისა და ყველა შესაძლო რისკის შეფასების შედეგად, ასევე პარტნიორებისგან მიღებული რეკომენდაციების გათვალისწინებით, გადავწყვიტეთ, რომ საქართველოს წიგნის გამომცემელთა და გამავრცელებელთა ასოციაციის ორგანიზებით, თბილისის წიგნის XXII საერთაშორისო ფესტივალი 25-27 სექტემბერს სრულად ონლაინ ფორმატში გაიმართება.

ეპიდემიოლოგიური სიტუაციის დამძიმებისა და კულტურულ ღონისძიებებზე დაწესებული შეზღუდვების გამო ფესტივალის ჩატარება ექსპოჯორჯიას პავილიონსა და მიმდებარე ტერიტორიაზე, სამწუხაროდ, მაღალი რისკის შემცველი იყო როგორც ფესტივალის მონაწილეების, ისე სტუმრებისთვის.

თბილისის წიგნის XXII საერთაშორისო ფესტივალი ოფიციალურად 25 სექტემბერს გაიხსნება და პროგრამის ფარგლებში გათვალისწინებული ყველა ღონისძიება 25, 26 და 27 სექტემბერს თბილისის წიგნის საერთაშორისო ფესტივალის ფეისბუქგვერდზე პირდაპირი ჩართვების რეჟიმში გადაიცემა.

თბილისის წიგნის ფესტივალში 20-ზე მეტი გამომცემლობა მიიღებს მონაწილეობას. თითოეული მათგანი მკითხველებს სპეციალურ საფესტივალო ფასდაკლებას შესთავაზებს.

# დეკანოზი ილია ჭიღლაძე აზერბაიჯანის მხარეს ანტიქართულ ქმედებებში ადანაშაულებს




დეკანოზი ილია ჭიღლაძე აზერბაიჯანს საქართველოს მიმართ არნახულ ფალსიფიკაციასა და ანტიქართულ ქმედებებში ადანაშაულებს და მათი მეშვიდე კლასის ისტორიის სახელმძღვანელოს რუკებს ინტერნეტში ავრცელებს:

– სოს! საქართველოს რომ პატრონი არ ჰყავს და ჩვენი სამეცნიერო დაწესებულებები, მეცნიერებათა აკადემიით დაწყებული, მკვდარი ორგანიზაციებია, დიდი ხანია მივხვდი, მაგრამ მაინც მინდა, რაღაც ვიღონოთ ქართველებმა, იმ ნაწილმა, ვისაც შერჩა სამშობლოს სიყვარული: არნახული ფალსიფიკაცია და ანტიქართული ქმედებები ხდება აზერბაიჯანის მხრიდან. გამომიგზავნეს აზერბაიჯანის საშუალო სკოლის მე-7 კლასის ისტორიის სახელმძღვანელოს რუკები, სადაც მთელი აღმოსავლეთ საქართველო აზერბაიჯანის ძველი ალბანეთისა და შირვანის ნაწილებადაა გამოცხადებული, ქართლ-კახეთი კი ქუთაისთან ყოფილა.

მეზობელი ქვეყნების ისტორიის სახელმძღვანელოების არანაირი მონიტორინგი არ ხდება ქართული სამეცნიერო დაწესებულებების მხრიდან, ქართული სახელმწიფო კი უდიდეს უუნარობასა და ურეაქციობას იჩენს. რა თქმა უნდა, მათ სახელმძღვანელოს ჩვენ ვერ გამოვცემთ და ვერც შევუცვლით შინაარსს, მაგრამ მაღალი ტრიბუნებიდან და სახელმწიფოებრივ დონეზე ხომ უნდა ვიღებდეთ ხმას?! თუ ასე თავლაფდასხმულები, სირაქლემის პოზაში ვიყოთ?!

**მოამზადა ეკა ირემაშვილმა**

# პატარა ბიჭის დიდი ნახტომი




არმან დიუპლანტისი ჯერ მხოლოდ 20 წლისაა, მაგრამ უკვე მძლეოსნობის ლეგენდად იქცა. რომში მიმდინარე „ბრილიანტის ლიგის" ერთ-ერთ ეტაპზე შვედმა ჭოკით მხტომელმა 6,15 მეტრი სიმაღლე დაძლია და კიდევ ერთი ლეგენდის, უკრაინელი სერგეი ბუბკას შედეგი 1 სანტიმეტრით გააუმჯობესა.

ბუბკას რეკორდიც იტალიაში, ოღონდ სესტრიერში, 1994 წელს დამყარდა და აგერ უკვე 26 წელია, ვერავინ გაეკარა.

დიუპლანტისი თებერვალში შოტლანდიაში 6,18 მეტრზეც გადახტა, ოღონდ დარბაზში. ეს 2 რეკორდი ერთმანეთისგან დამოუკიდებლად ითვლება, რადგან ღია სტადიონზე ხტომა უფრო რთულია – ქარს ან წვიმას სერიოზული კორექტივები შეაქვს.

ასე რომ, ახლა 20 წლის შვედი ბიჭი სპორტის ამ სახეობის ერთპიროვნული მეფეა. იმის გათვალისწინებით, როგორ უპრობლემოდ გადაევლო თამასას, დიუპლანტისი, ვეჭვობთ, თავს კიდევ შეგვახსენებს.

## შედეგები

### 19 სექტემბერი

**ფეხბურთი**

**ინგლისი. პრემიერლიგა**

ევერტონი-ვესტ ბრომვიჩი ... 5:2
ლიდსი-ფულემი ... 4:3
მანჩესტერი-კრ.პალასი ... 1:3
არსენალი-ვესტ ჰემი ... 2:1

**ინგლისი. ჩემპიონლიგა**

ნოტინგემი-კარდიფი ... 0:2
ბლექბერნი-უიკომბი ... 5:0
ბრენტფორდი-ჰადერსფილდი ... 3:0
ლუთონი-დერბი ... 2:1
მიდლსბრო-ბორნმუთი ... 1:1
ნორვიჩი-პრესტონი ... 2:2
რედინგი-ბარნსლი ... 2:0
როტერჰემი-მილუოლი ... 0:1
სუონსი-ბირმინგემი ... 0:0
უენსდი-უოტფორდი ... 0:0

**გერმანია. ბუნდესლიგა**

აინტრახტი-არმინია ... 1:1
ვერდერი-ჰერტა ... 1:4
კიოლნი-ჰოფენჰაიმი ... 2:3
უნიონი-აუგსბურგი ... 1:3
შტუტგარტი-ფრაიბურგი ... 2:3
დორტმუნდი-გლადბახი ... 3:0

**გერმანია. მე-2 ბუნდესლიგა**

ვიურცბურგერი-აუე ... 0:3
ჰანოვერი-კარლსრუე ... 2:0
ზანდჰაუზენი-დარმშტადი ... 3:2

**ესპანეთი. პრიმერა დივიზიონი**

ვილიარეალი-ეიბარი ... 2:1
ხეტაფე-ოსასუნა ... 1:0
სელტა-ვალენსია ... 2:1

**ესპანეთი. სეგუნდა დივიზიონი**

მირანდესი-ოვიედო ... 1:1
ალკორკონი-ტენერიფე ... 2:0
კასტელონი-მალაგა ... 0:1
რაიო-საბადელი ... 2:1

**იტალია. სერია ა**

ფიორენტინა-ტორინო ... 1:0
ვერონა-რომა ... 0:0

**საფრანგეთი. ლიგა 1**

ლანსი-ბორდო ... 2:1
რენი-მონაკო ... 2:1

**სატურნირო ცხრილი:**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1.რენი | 4 | 3 | 1 | 0 | 9-5 | 10 |
| 2.ლანსი | 4 | 3 | 0 | 1 | 7-5 | 9 |
| 3.მონაკო | 4 | 2 | 1 | 1 | 6-5 | 7 |
| 4.ლილი | 3 | 2 | 1 | 0 | 3-1 | 7 |
| 5.სტ.ეტიენი | 2 | 2 | 0 | 0 | 4-0 | 6 |
| 6.მონპელიე | 3 | 2 | 0 | 1 | 6-4 | 6 |
| 7.მარსელი | 2 | 2 | 0 | 0 | 4-2 | 6 |
| 8.ნიცა | 3 | 2 | 0 | 1 | 5-4 | 6 |
| 9.ანჟე | 3 | 2 | 0 | 1 | 2-2 | 6 |
| 10.ლიონი | 4 | 1 | 2 | 1 | 5-3 | 5 |
| 11.ბორდო | 4 | 1 | 2 | 1 | 3-2 | 5 |
| 12.ნიმი | 4 | 1 | 1 | 2 | 7-6 | 4 |
| 13.ნანტი | 3 | 1 | 1 | 1 | 3-3 | 4 |
| 14.ლორიანი | 3 | 1 | 0 | 2 | 5-6 | 3 |
| 15.ბრესტი | 3 | 1 | 0 | 2 | 4-7 | 3 |
| 16.რეიმსი | 3 | 0 | 1 | 2 | 2-4 | 1 |
| 17.პსჟ | 2 | 0 | 0 | 2 | 0-2 | 0 |
| 18.მეცი | 2 | 0 | 0 | 2 | 0-2 | 0 |
| 19.დიჟონი | 3 | 0 | 0 | 3 | 1-7 | 0 |
| 20.სტრასბური | 3 | 0 | 0 | 3 | 1-7 | 0 |

**საფრანგეთი. ლიგა 2**

კლერმონი-ტულუზა ... 1:1
ლე ავრი-ნიორი ... 0:1
გრენობლი-აიაჩო ... 2:0
დიუნკერკი-ვალანსიენი ... 1:0
კანი-შაბლი ... 0:0
პო-გენგამი ... 0:1
სოშო-როდეზი ... 2:2
პარიზი-ნანსი ... 0:2
შატორუ-ამიენი ... 0:0

**ნიდერლანდები. ერედივიზიონი**

ალკმაარი-ზვოლე ... 1:1
ვიტესი-სპარტა ... 2:0
პსვ-ემენი ... 2:1
ფორტუნა-ჰერენვენი ... 1:3

**პორტუგალია. პრიმეირა ლიგა**

ნასიონალი-ბოავიშტა ... 3:3
პორტუ-ბრაგა ... 3:1

**რუსეთი. პრემიერლიგა**

ურალი-ზენიტი ... 1:1

**შვეიცარია. სუპერლიგა**

ლუგანო-ლუცერნი ... 2:1
იანგ ბოიზი-ციურიხი ... 2:1

**ავსტრია. ბუნდესლიგა**

ტიროლი-ლინცერი ... 1:1
ზალცბურგი-ალტახი ... 4:1
შტურმი-რაპიდი ... 1:1

**შოტლანდია. პრემიერლიგა**

დ.იუნაიტედი-სტ.მირენი ... 2:1
კილმანროკი-ჰამილტონი ... 2:1
სელტიკი-ლივინგსტონი ... 3:2
სტ.ჯონსონი-როსი ... 0:1

**ბელგია. ა დივიზიონი**

ოსტენდე-ლეუვენი ... 3:1
მუსკრონი-გენტი ... 0:1
ბევერენი-ანდერლეხტი ... 2:4

**საბერძნეთი. სუპერლიგა**

პანეთოლიკოსი-აეკი ... 0:2

**თურქეთი. სუპერლიგა**

გენჩლერი-ქონია ... 0:0
დენიზლი-ტრაბზონი ... 0:0
ალანია-ქაისერი ... 2:0
ბეშიქთაში-ანთალია ... 1:1

**ჩეხეთი. 1 ლიგა**

ბანიკი-პარდუბიცე ... 3:0
ოპავა-ჩესკე ... 0:0
ბოჰემიანსი 1905-პლზენი ... 1:4

**პოლონეთი. ექსტრაკლასა**

ლეხია-სტალი ... 4:2
პოგონი-სლასკი ... 1:0
ლეგია-გურნიკი ... 1:3

**უკრაინა. პრემიერლიგა**

ოლექსანდრია-ვორსკლა ... 0:2
ინგილეცი-დესნა ... 1:1

**ინგულეცის გოლი ნიკა სიჭინავამ გაიტანა**

დინამო-ლვოვი ... 3:1

**დანია. სუპერლიგა**

მიდტიულანდი-ლუნგბიუ ... 1:0

**ნორვეგია. ელიტსერია**

ვალარენგა-მიოლდე ... 2:1
სარპსბორგი-მიონდალენი ... 2:0

**ფინეთი. ვეიკაუსლიგა**

ილვესი-ჰაკა ... 1:1
ინტერი-სეინეიოკი ... 0:1
ჰიფკი-მარიეჰამნი ... 2:2

*მოამზადა მიხეილ ყორყოლიანმა*

# ვაგონი მიქრის — რუსული დინამო თბილისის ლოკომოტივმა გაჭყლიტა

**ლოკომოტივი (თბ)-დინამო (მ) 2:1**

თბილისი. მიხეილ მესხი 2

1:0 სიხარულიძე (54), 2:0 გავაშელიშვილი (76), 2:1 კომლიჩენკო (90პ)

**ლოკომოტივი:** მამარდაშვილი, გაბაძე, სანდოხაძე, გურეშიძე, უბილავა, სამურკასოვი (ძებნიაური 62), შონია, დარცმელია, თ.კირკიტაძე (კობახიძე 83), იმრანი (გავაშელიშვილი 65), სიხარულიძე

**დინამო:** შუნინი, სკოპინცევი (მოროზოვი 46), ორდეცი, ევგენიევი, პარშივილიუკი, კაბორე, ფომინი, ნ'ჟი (ლესოვოი 61), ფილიპი (იგბოუნი 69), შიმანსკი, კომლიჩენკო



ჩვენ უკვე ვწერდით ლოკომოტივის მიერ მოსკოვის დინამოს დამარცხებაზე. ახლა კი უფრო ვრცლად მოგიყვებით იმის შესახებ, თუ რა მოხდა 17 სექტემბერს, საღამოს, ვაკეში.

ევროპა ლიგის მეორე საკვალიფიკაციო ეტაპის მატჩში თბილისის ლოკომოტივმა მოსკოვის დინამოს ბარიერი გადალახა, კიდევ ერთხელ შეძლო ყველას გაოცება და შემდეგ ეტაპზე დამსახურებულად გავიდა.

არაქართული ფეხბურთი ითამაშა ლოკომ. მოიგო ლამაზად, ჭკვიანურად... როცა საჭირო იყო, პრესინგი ითამაშა, როცა გამოუვიდა, ტიკი-ტაკას მასტერკლასის გაკვეთილიც აჩვენა დერჟავულ გუნდს, გოლებიც გაუტანა, დაცვაშიც მედგრად დაუდგა და...

მატჩი ორივე გუნდმა ფრთხილად დაიწყო, ლოკომოტივი ართმევაზე ბევრს მუშაობდა და მეტოქეს გასაქანს არ



აძლევდა. მე-15 წუთზე კი სტუმრებს კარისკენ დარტყმის საშუალება მიეცათ. გიორგი მამარდაშვილს რთული ბურთის მოგერიება მოუწია და ბურთი მისი ხელიდან ძელსაც მოხვდა.

მარჯვენა ფლანგზე მოთამაშე თორნიკე კირკიტაძე რუსების პრობლემად იქცა. მისი სწრაფი გარღვევები ბევრ თავსატეხს უჩენდა დინამოს, განსაკუთრებით კი – სკოპინცევს, რომელიც პირველივე ტაიმში იმსახურებდა გაძევებას, მაგრამ მსაჯმა დაინდო. შედეგად, კირილ ნოვიკოვს მისი გამოცვლა მოუწია, მაგრამ კარგი დღე არც მოროზოვს დაადგა. თუმცა ეს მე-2 ტაიმში იყო, მანამდე ლოკომოტივის საჯარიმოს ხაზთან სახიფათო საჯარიმო დარტყმა დაინიშნა. უძლიერესი დარტყმა ჯერ მამარდაშვილმა მოიგერია, შემდეგ კი სიტუაცია მცველებმა განმუხტეს.

შესვენების შემდეგ მოვლენები ზუსტად ისე განვითარდა, როგორც წინა საკვალიფიკაციო ეტაპზე რუმინულ უნივერსიტატიასთან. 2 სწრაფი კონტრშეტევა და 2 გოლი.

54-ე წუთზე გაბაძე-კირკიტაძის კომბინაციას საჯარიმოში გამჭოლი პასი და შუნინის შეცდომა მოჰყვა, სიხარულიძემ რუსეთის ნაკრების მეკარე დასაჯა – 1:0.

ანგარიში ორამდე მამია გავაშელიშვილმა გაზარდა. თეიმურაზ შონიას დარტყმის შემდეგ მეკარემ ისევ ცუდად მოიგერია ბურთი და პირველი ჩვენებური გაჩნდა – 2:0.

ბოლო წუთებში მოსკოველებმა ზეწოლა გააძლიერეს. 86-ე წუთზე გიორგი მამარდაშვილმა სასწაული ბურთის მოგერიება შეძლო, რის შემდეგაც ლოკომოტივს ძელიც დაეხმარა და სიტუაცია განიმუხტა. 89-ე წუთზე, კობახიძე-სიხარულიძის კომბინაციის შემდეგ, ლოკოს ბომბარდირს დუბლის შესრულებაც შეეძლო, მაგრამ ახლო მანძილიდან ვერ გაიტანა.

მოსკოველებს თამაშის გადარჩენის იმედი კომპენსირებულ დროში გაუჩნდათ, როცა არბიტრმა მათ სასარგებლოდ თერთმეტმეტრიანი დანიშნა. მამარდაშვილს კომლიჩენკომ აჯობა და გაუტანა. ეს იყო და ეს...

ვაგონი მიქრის, ლოკომოტივის შემდეგი გაჩერება ესპანური გრანადაა...

**გიორგი ჭიაბრიშვილი:**

– ეს ჩემს სამწვრთნელო კარიერაში ყველაზე დიდი გამარჯვებაა. არანაკლებ ძლიერი გუნდი დავამარცხეთ წინა ეტაპზე. თუმცა ჩემთვის ეს უფრო დიდი გამარჯვებებია. შარშანაც ყველაფერი ჩავდეთ, თუმცა დავმარცხდით. მინდოდა, საკუთარი თავის რეაბილიტაცია მომეხდინა და მადლობა მინდა ვუთხრა ლოკოს, ბიჭებს. ხალხს უარყოფითი რეაქცია ჰქონდა და კარგია, რომ საქმით გამომივიდა პასუხის გაცემა მაშინდელი ამბებისთვის. ჩვენს თამაშში მღელვარება სულ იქნება, რადგან ასეთი დონის მატჩები წელიწადში ერთხელ გვიწევს. რაც შეგვეძლო, მაქსიმუმი გავაკეთეთ. ახლა მივდივარ ქვეყანაში, სადაც ფეხბურთი უნდა ვითამაშოთ. არაფრის გვეშინია, მგონი, მათთვის უფრო ამოუცნობი გუნდი ვართ...

მატჩის შემდეგ რაღაც ნაკადმა შემიყვანა გასახდელში, ამ ძალამ სადღაც გადამაგდო, ახლა მოვდივარ აზრზე. ჩვენ პატარა საქმე გავაკეთეთ, პატარა გამარჯვება მოვიპოვეთ და კარგია, რომ გავახარეთ ქართველი ხალხი. თუმცა მთავარი ამოცანა მაინც ჯგუფურ ეტაპზე მოხვედრაა. სიმართლეს გეტყვით, არც წინა ეტაპის გავლა მეგონა, არც ამ ეტაპის, თუმცა ნელ-ნელა რაღაც ხდება, გოლები გაგვაქვს, ბიჭები უკეთესად თამაშობენ. გრანადა კარგი გუნდია, ცხადია, ლა ლიგის ძლიერ გუნდს ვხვდებით. ჩავალთ და ვითამაშებთ. რაც ხალხისაგან მივიღეთ, ამაზე დიდი პრემია არ არსებობს, თანხობრივზე კი არაფერი ვიცი. რთული გრაფიკი გვაქვს, ჯერ ჩიხურას ვეთამაშებით თასზე, მერე ესპანეთში უნდა გავფრინდეთ. საკმაოდ დამღლელი მგზავრობა გველის, ამას შეუჩვეველნი ვართ. არ გვიფიქრია ჩიხურასთან თამაშის გადატანის თხოვნაზე. თუ ევროთასებზე გამოდიხარ, მთელი ეროვნული სისტემა შენ არ უნდა მოგერგოს. გვყავს კარგი ფეხბურთელები, რომლებიც ხან არ თამაშობენ. დავაბალანსებთ, იქაც ვითამაშებთ და აქაც.

**კირილ ნოვიკოვი:**

– თამაში ჩვენი უპირატესობით მიმდინარეობდა, მეტოქე დაცვიდან შეტევაში სწრაფად გადასვლას ცდილობდა. ჩვენი მომენტები ვერ გამოვიყენეთ და საბოლოოდ დავმარცხდით. კარგი გუნდია ლოკომოტივი, სწრაფი, ტექნიკური, მებრძოლი კოლექტივი. სერიოზულად მივუდექით მათ, ვერ ვიტყვი, რომ სათანადოდ არ დავაფასეთ მეტოქე, პირიქით. ჩვენ მოსაგებად ჩამოვედით, შექმნილი მომენტები ვერ გამოვიყენეთ, დაცვაში ხან მოწინააღმდეგემ დაგვაშვებინა შეცდომა, ხან ჩვენ დავუშვით.



## კროსვორდი ბ

**შვეულად:** 1. ფრანგი მხატვარი, ფოტოგრაფიის ერთ-ერთი გამომგონებელი; 2. ხორცის ნახარში; 3. ფასიანი ქაღალდების, უცხოური ვალუტის საბირჟო ფასის დადგენა; 4. კვალიფიკაციის ასამაღლებლად მივლინებული პირი; 8. კონიაკის მწარმოებელი ფრანგული ფირმა; 9. ოფიციალური სახელმწიფო რელიგია იაპონიაში; 11. წმინდანად შერაცხული ქართველი მეფე; 12. ესპანელი სიურეალისტი მხატვარი; 14. მუშაობის ენერგიის საზომი ერთეული ფიზიკაში; 16. სამკურნალო დაწესებულება; 17. შნო, მოხერხება; 19. აზერბაიჯანის პრეზიდენტი; 21. შავი, ტკბილი ნაყოფის მქონე კენკროვანი ბუჩქი.

**თარაზულად:** 5. განუწყვეტელი შეტევა კრივში; 6. ბერძნული ფილოლოგიის სპეციალისტი; 7. ესპანეთის ფეხბურთელთა გუნდი; 10. იტალიელი კინოვარსკვლავი ქალი; 13. ჯეიმს ბონდის როლის შემსრულებელი ბრიტანელი მსახიობი; 15. მოკლე დისტანციებზე მოასპარეზე სპორტული ცხენი; 18. სისხლის თხევადი ნაწილი; 20. უწყინარი ხასიათის დაცინვა; 22. ქალაქის თავი ჩეხეთში; 23. ივლისის თვის ქართული სახელწოდება; 24. ზღვისპირა კურორტი აჭარაში.

*შეადგინა თ.კოპალეიშვილმა*




## წინა ნომერში გამოქვეყნებული კროსვორდების პასუხები:

**კროსვორდი ა**

**შვეულად**: 1. რემარკა; 2. პოტომაკი; 3. სიმონია; 5. კიშინიოვი; 7. გერგეტი; 9. პლაცკარტი; 13. სანტოსი; 15. აიაზმა; 16. მიქლიო; 18. სეიმი.

**თარაზულად**: 4. რედიკული; 6. პრობაცია; 8. მარკშეიდერი; 10. რეგალია; 11. არია; 12. სტრიპი; 14. თართი; 17. ჰალვა; 19. დამბა; 20. ალგოლოგი; 21. იედო; 22. ბარბაროსი; 23. დიზაინი.

**კროსვორდი ბ**

**შვეულად**: 1. ციტატა; 2. ფერმერი; 3. ხეჭეჭური; 4. იტალიანა; 8. ჩელენტანო; 9. მანომეტრი; 11. პარხალი; 12. კოლი; 14. არნო; 16. კოხინორი; 17. პოინტერი; 19. გინესი; 21. ტარტუ.

**თარაზულად**: 5. კერატიტი; 6. ტრავიატა; 7. მეტრეველი; 10. რუტერი; 13. ბენონი; 15. ქლუხორი; 18. დოლარი; 20. კარტიე; 22. განდაგანა; 23. გრინფისი; 24. უტინოურა.

## სამგლოვიარო განცხადებები

ნათესავები, მეგობრები და მეზობლები გამოთქვამენ ღრმა მწუხარებას

**შახი კვარაცხელიას**

გარდაცვალების გამო და თანაუგრძნობენ ოჯახს მძიმე ადამიანურ დანაკლისთან დაკავშირებით.

სამგლოვიარო და მისალოცი განცხადებები მიიღება

ტელ.: 599-532-690 – 12-დან 17 საათამდე

# ახალი თაობა

გაზეთის ელექტრონული ვერსია ინტერნეტში:
http://www.opentext.ge/akhalitaoba


21 სექტემბერი

## ქართული ლარის მიმართ უცხოური ვალუტების გაცვლითი კურსი

აშშ დოლარი — 3.2140

ევრო — 3.8057

დიდი ბრიტანეთის გირვანქა სტერლინგი — 4.1711

100 რუსული რუბლი — 4.2817

## ამინდის პროგნოზი 21 სექტემბრისათვის




## ნელსონ სემედუ კარიერას ვულვზში გააგრძელებს



ბარსელონის პორტუგალიელი მცველი ნელსონ სემედუ, დიდი ალბათობით, კარიერას ვულვერჰემპტონში გააგრძელებს.

ვულვერჰემპტონი ბარსელონას უკვე შეუთანხმდა სატრანსფერო ფასზე, თუმცა თანხის ოდენობა ცნობილი არ არის. სემედუ თვითონაც არ არის წინააღმდეგი, ვულვერჰემპტონის ფეხბურთელი გახდეს, რადგან ყოველთვის სურდა ინგლისში თამაში. ვულვერჰემპტონი ბოლო წლებში საკმაოდ სტაბილურად თამაშობს და ევროპის ლიგის საგზურის მოპოვება ორჯერ მოახერხა.

## სერხიო რამოსი: „რეალი მხოლოდ ჩემპიონობისთვის იბრძოლებს“



მადრიდის რეალის კაპიტანმა სერხიო რამოსმა ახალ სეზონზე ისაუბრა და თქვა, რომ მას სურს ესპანეთის ჩემპიონობა და ასევე ჩემპიონთა ლიგაში წარმატების მიღწევა.

რამოსის აზრით, შარშანდელი სეზონი ბოლომდე წარმატებული არ იყო, რადგან რეალმა ჩემპიონთა ლიგაში ღირსეული თამაში ვერ შეძლო:

— ესპანეთის ჩემპიონატი მოვიგეთ, მაგრამ ეს საკმარისი არ იყო, რადგან რეალს მხოლოდ უმაღლესი მიზნები აქვს და პირველ რიგში ეს ჩემპიონთა ლიგას ეხება. იმედი მაქვს, წელს ამ ტურნირში გაცილებით უკეთეს შედეგს ვაჩვენებთ.

## ბეილი: „ტოტენჰემში დაბრუნებით ბედნიერი ვარ“



გარეტ ბეილი ტოტენჰემში დაბრუნდა, თუმცა მხოლოდ ერთწლიანი იჯარით და ჯერჯერობით კვლავ რეალის საკუთრებაა.

ბეილის თქმით, ის ძალიან ბედნიერია ყოფილ გუნდში დაბრუნებით და სურს, მოედანზე მალე გავიდეს:

— მიხარია, რომ იმ ადგილას დავბრუნდები, სადაც პირველად მივაღწიე წარმატებას ფეხბურთში. მომავალში, არ ვიცი, როგორ განვითარდება მოვლენები, მაგრამ, დიდი სურვილი მაქვს, ჩემი საყვარელი საქმე ვაკეთო და ამისგან სიამოვნება მივიღო.

**მოამზადა ბექა გოგინაშვილმა**

## წესრიგის დამრღვევი პატრულს გაექცა და მათ მომგებიანი ლატარიის ბილეთი დაუტოვა




ამერიკის ჯორჯიის შტატის ჩეროკის ოლქის პოლიცია ეძებს გაქცეულ წესრიგის დამრღვევს, რომელმაც ლატარიაში ჯეკპოტი მოხსნა.

ინციდენტი ორშაბათს, 14 სექტემბერს, ქალაქ კანტონში მოხდა. პოლიციის ანგარიშის თანახმად, პატრულმა საგზაო მოძრაობის წესების დარღვევისთვის მძღოლი გააჩერა. მან მანქანა გადააყენა, შემდეგ გადმოხტა და უცნობი მიმართულებით გაუჩინარდა.

ავტომობილის ჩხრეკის დროს პოლიციელებმა აღმოაჩინეს, რომ წესრიგის დამრღვევმა მანქანის სალონში დატოვა ლატარიის ბილეთი, რომელსაც 100 დოლარი ჰქონდა მოგებული.

— შეგიძლიათ, თქვენი ბილეთი წაიღოთ, ის ჩვენთან იქნება, — დაწერეს პოლიციელებმა ფეისბუქში, — ჰო, მართლა, გილოცავთ მოგებას.

**მოამზადა კახა ხატიაშვილმა**

## ასტროპროგნოზი



### 21 სექტემბრისათვის

**ვერძი** — დღეს მნიშვნელოვანი გადაწყვეტილების მიღება მოგიწევთ. დაუფიქრებელ ნაბიჯს ნუ გადადგამთ. ეცადეთ, სულიერი წონასწორობა შეინარჩუნოთ. **კური** — ელოდეთ სასიამოვნო სიურპრიზს. შესაფერისი დღეა პირად ცხოვრებაში ცვლილებების შესატანად. **ტყუპები** — ნუ იქნებით კატეგორიული. მეტი თავშეკავება, სირბილე და დათმობის უნარი გჭირდებათ. **კირჩხიბი** — საქმიანი ურთიერთობები კმაყოფილებას ვერ მოგგვრით. ეცადეთ, თავი შეიკავოთ ემოციების გამოვლენისაგან. **ლომი** — მოულოდნელი ინფორმაცია მთელ გეგმებს თავდაყირა დაგიყენებთ. იოლად არავის მიენდოთ. **ქალწული** — კეთილისმყოფელი დღეა. ნებისმიერ პრობლემას ძალდაუტანებლად და იოლად აგვარებთ. წინასწარ ნურაფერს დაგეგმავთ. **სასწორი** — პრობლემები არ გაწუხებთ. მთავარია, არ დაიბნეთ და გადაწყვეტილებები ნათელი გონებით მიიღოთ. **ღრიანკალი** — ემოციები მძლავრობს. დამშვიდდით და მხოლოდ საყვარელი საქმე აკეთეთ. **მშვილდოსანი** — ენერგეტიკული აღმავლობის დღეა. შრომის ნაყოფიერება საგრძნობლად აგიმაღლდებათ. სასიამოვნო ინფორმაციას ელოდეთ. **თხის რქა** — დღის დევიზია სიყვარული, სიმშვიდე და თანხმობა. ეცადეთ, საყვარელ ადამიანთან მეტი დრო გაატაროთ. **მერწყული** — პატივმოყვარეობა და ქედმაღლობა არ გარგებთ. ეცადეთ, განმარტოვდეთ და სულიერი სიმშვიდე მოიპოვოთ. **თევზები** — ოპტიმისტურად ხართ განწყობილი, რაც მომავალ წარმატებას ხელს შეუწყობს, თუმცაღა, წინდახედულობა მაინც გმართებთ.

**გისურვებთ ბედნიერ დღეს!**

## იუმორი

ერთი გეი მეორეს ეუბნება:
— ნახე, ის კაცი იმ ქალს კოცნის!
— ფუი, რა საზიზღრობაა! გარყვნილები! სად იყურება ჩვენი პოლიცია?

•••

პაპა შვილიშვილს უყვება:
— ეს იყო ძალიან დიდი ხნის წინ...
— რას ნიშნავს „ძალიან დიდი ხნის წინ“?
— იმ დროს, როდესაც ხალხი მეტროში სამედიცინო ნიღბების გარეშე დადიოდა.
— კარგი, რა, პაპა. მე ხომ ზღაპრის მოყოლას არ გთხოვ...

•••

ერთი ქალი მეორეს ეუბნება:
— დღეს ჩემს ქმარს ვკითხე, თუ რატომ აღარ მეუბნება, რომ ვუყვარვარ...
— რაო მერე, რა გიპასუხა?
— რა და მას შემდეგ, რაც მისი მანქანა დავამტვრიე, თავად ის ფაქტი, რომ დღემდე ჯანმრთელი ვარ და მის სახლში ვცხოვრობ, უკვე იმის მტკიცებულებაა, რომ ძალიან ვუყვარვარ.

•••

გოგონა ბიჭს ეკითხება:
— შენი აზრით, ჩემი შეყვარება შეიძლება?
— ვფიქრობ... კი.
— მერე, რაღას უცდი?

•••

პროგრამისტების კოლეჯის პედაგოგი სტუდენტებს ეუბნება:
— ჩვენი კოლეჯი არა მხოლოდ გასწავლით, არამედ მრავალი ადამიანის სიცოცხლესაც იცავს!
— ეგ როგორ? — ეკითხება ერთ-ერთი სტუდენტი.
— როგორ და ისე, რომ ისეთი უტვინოები, როგორებიც თქვენ ხართ, სამედიცინოზე არ სწავლობენ!!!

•••

ლორდი მსახურს ეკითხება:
— ბერიმორ, ბასკერვილების ძაღლი ისევ ყმუის იმ ჭაობებში?
— არა, სერ. იქ ახლა კორეული სამზარეულოს რესტორანია გახსნილი.

•••

ერთი მეგობარი მეორეს ეკითხება:
— როგორ ხარ?
— ცუდად.
— კი მაგრამ, გუშინ ხომ ერთი წვეთიც არ დაგილევია!
— სწორედ მაგიტომაც.

**მოამზადა კახა ხატიაშვილმა**

## ნინო ქათამაძე ტელეწამყვანია



მომღერალი ნინო ქათამაძე ამიერიდან კვირაში ერთხელ – შაბათობით ათასობით მაყურებელს ტელეეკრანიდან მიესალმება.

„სტუმრად ნინო ქათამაძესთან“ – ასეთი სახელწოდება აქვს გადაცემას, რომელიც ტელეკომპანია პირველის ეთერში გავა.

ნინო ქათამაძესთან სტუმრად ცნობილი ადამიანები მივლენ და მსოფლიო მეგავარსკვლავი ამიერიდან ტელეწამყვანის ამპლუაში მოგვევლინება.

## დიანა ღურწკაიამ ბელარუსის მხარდასაჭერად იმღერა



რუსეთში მოღვაწე ქართველმა მომღერალმა დიანა ღურწკაიამ ბელარუსის მხარდასაჭერად იმღერა და ქართველთა კრიტიკა დაიმსახურა.

ახალი სიმღერა რუსული ესტრადის ცნობილმა მომღერლებმა შეასრულეს და მათგან ქართველი მხოლოდ დიანა ღურწკაიაა. სიმღერა და ვიდეორგოლი ალექსანდრე ლუკაშენკოს მხარდასაჭერად მომზადდა და ინტერნეტშიც განთავსდა.

ეს არ არის პირველი შემთხვევა, როდესაც დიანა ღურწკაია პოლიტიკურ პროცესებში თავისი სიმღერებით ერთვება. მომღერლის ასეთი გადაწყვეტილებები ქართველ მსმენელს მუდამ აღიზიანებს და დიანას ღიად აკრიტიკებს.

## ლედი გაგამ ახალი კლიპი სერგო ფარაჯანოვის „ბროწეულის ფერის“ მიხედვით გადაიღო



მსოფლიო ვარსკვლავმა ლედი გაგამ თავის ახალ სიმღერაზე „911“ ვიდეორგოლი სერგო ფარაჯანოვის ფილმ „ბროწეულის ფერის“ მიხედვით გადაიღო.

ვიდეორგოლში ფილმისთვის დამზადებული სპეციალური სარეკლამო აფიშაც არის გამოყენებული, რომელზეც სოფიკო ჭიაურელია აღბეჭდილი.

ლედი გაგას ახალი ნამუშევარი ინტერნეტში უკვე განთავსდა და ათასობით ნახვა და მოწონებაც დაიმსახურა.

## ბესიკ ნემსაძისთვის ყველაზე დაუფასებელი შრომა მუსიკოსობაა



მომღერალ ბესიკ ნემსაძეს მიაჩნია, რომ ყველაზე დაუფასებელი შრომა მუსიკოსობაა:

— ყველას როგორ პატივისცემა გინდათ მუსიკოსისგან და ჩვენს გაწეულ შრომას 2% თუ აფასებთ, თითქოს ჰაერით ვიკვებებოდეთ ან ჩვენ არ გვინდოდეს ნორმალურად სუნთქვა.

მე რომ თქვენთან მოვიდე, კაციშვილი არაფერში მომეხმარებით. ამაზე დაუფასებელი შრომა არ არსებობს ამ ქვეყანაში, მგონი.

## რევაზ ლაღიძის 100 წლის იუბილე კონცერტით აღინიშნება




გენიალური ქართველი კომპოზიტორის რევაზ ლაღიძის 100 წლის იუბილე მის მშობლიურ სოფელში კონცერტით აღინიშნება.

23 სექტემბერს კომპოზიტორის იუბილესთან დაკავშირებით სოფელ ოფჩაში პიანისტი ლევან შენგელია კონცერტს გამართავს.

რევაზ ლაღიძის სახლ-მუზეუმში აჟღერდება კომპოზიტორის უკვდავი ჰანგები სრულიად ახალი ჟღერადობითა და შესრულებით. კონცერტს წარმოადგენენ ემიგრანტები ამერიკაში.

„ჯადოსნური ღამე“ – ასე ჰქვია საღამოს, სადაც ლევან შენგელია კომპოზიტორის უკვდავ ნაწარმოებებს ააჟღერებს.

## „იმედზე“ „ჩვენი შოუ“ დაიწყო




ტელეკომპანია „იმედმა“ ახალი გასართობი და იუმორისტული შოუ „ჩვენი შოუ“ დაიწყო.

მისი შემოქმედებითი გუნდი ჯემალ ბაღაშვილის ხელმძღვანელობით მაყურებელს ყველაზე ორიგინალურ მუსიკალურ ნომრებსა და საინტერესო იუმორისტულ სკეტჩებს წარუდგენს.

„ჩვენი შოუ“ „იმედზე“ ყოველ შაბათს გადის და მასში მონაწილეობას, „იუმორინას“ მსახიობებთან ერთად, ახალი სახეებიც მიიღებენ.

ჯემალ ბაღაშვილი, გია ბაღაშვილი, გურამ ჯაში, ბიძინა მახარაძე, ბესო ბერულაშვილი, ნინაკა გელაშვილი, ბორის ბედია, ქუჩის მუსიკოსები და გადაცემაში სპეციალურად მიწვეული სტუმრები მაყურებლისთვის განწყობის ამაღლებას მაქსიმალურად შეეცდებიან.

**მოამზადა ეკა ირემაშვილმა**

## კროსვორდი ა

**შვეულად:** 1. ქართული ხალხური ქალვაჟის ცეკვა; 2. ქალაქი მესხეთში; 3. ამაღლებული ადგილი ეკლესიაში, საიდანაც ლოცვებს წარმოთქვამენ; 5. მეცნიერება სიცოცხლისა და ცოცხალი ორგანიზმების განვითარებისა და კანონზომიერების შესახებ; 7. სახელმწიფო ევროპაში; 9. ცოდვათა მიტევება კათოლიკურ ეკლესიაში; 13. ხელოვნური ბოჭკოს ქსოვილი; 15. ვულკანიდან მაგმის ამოფრქვევის პროცესი; 16. ქართველი კომიკოსი; 18. სამონასტრო კომპლექსი ხარაგაულის რაიონში.

**თარაზულად:** 4. ნავთობის საბადო კახეთში; 6. ათქვეფილი კვერცხით, ფქვილით, ძმრით შეზავებული ქათმის წვნიანი კერძი; 8. თანდაყოლილი ჭკუასუსტობა; 10. შემოდგომის ხილი; 11. იაპონური ელექტროტექნიკური კონცერნი; 12. დედამიწის თანამგზავრი; 14. ელექტროავტომობილების მწარმოებელი ამერიკული კომპანია; 17. აღმოსავლური ჩასაბერი მუსიკალური ინსტრუმენტი; 19. შემთხვევით ჩავარდნილი ბურთი ბილიარდში; 20. ბერიკაობის ერთ-ერთი პერსონაჟი, დევის ნიღაბი; 21. ოპერა „აბესალომ და ეთერის“ პერსონაჟი; 22. დოლი, სადაც სხვადასხვა ასაკის ცხენები მონაწილეობენ; 23. გერმანული ლუდი.

*შეადგინა თ.გოგინაშვილმა*

